პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 213 (11519)
შაბათი
12
სექტემბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Серденький привет родному Грузинскому народу — читателям газеты „Комунисти". До скорой встречи!

Вера Мельникова

7.9.59.

ф. Вешенская.

გამარჯვებულთა მეგობრობა ზეიმობს

მეგობრები ერთმანეთისკენ სწევენ

მოსკოვი — თბილისი

„კომუნისტის" მკითხველებმა იციან, რომ სკკპ XXI ყრილობისათვის მზადების პერიოდში საფუძველი ჩაეყარა მეგობრობას მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კომუნისტური შრომის საამქროსა და თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის გურამ ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადებს შორის.

შვიდწლედის დიდებული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მათ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. პირობის პირნათლად განაღდებაში ინიციატორებს ხელს უწყობს ერთმანეთთან გულითადი ურთიერთობა, ძმური მეგობრობა, რომელიც დღითიდღე მტკიცდება და ღრმავდება.

მეგობრები სისტემატიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აცნობენ თავიანთ მიღწევებს. დღეს მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კომუნისტური შრომის საამქროს კოლექტივი ქართველ ელექტრომავალმშენებლებს „კომუნისტის" საშუალებით უგზავნის წერილს, რომელშიც მოუთხრობს უკანასკნელ პერიოდში მოპოვებულ წარმატებებზე, შრომასა და ცხოვრებაზე.

* * *

გურამ ჩადუნელის კომუნისტური შრომის გრიგადის წევრებს, ქართველ ელექტრომავალმშენებლებს

ჩვენო ქართველო ძმებო!

ამ წერილით გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი ფიქრები და მეგობრული გრძნობები, მოგითხროთ წარმატებებზე, რომლებიც ჩვენს საწარმოში თქვენი ყოფნის შემდეგ მოვიპოვეთ, მოგითხროთ ჩვენს შრომაზე, ცხოვრებაზე.

ჩვენ ახლა ორთქლმავლების ნაცვლად თბომავლების შეკეთებაზე ვმუშაობთ. ამ რთულ, პასუხსაგებ საქმეს წარმატებით გავართვით თავი და სახელმწიფოს დავუზოგეთ დიდი თანხა, რომელიც საამქროს მუშების კვალიფიკაციის გამოცვლასთან დაკავშირებით უნდა დახარჯულიყო. მაშინ საამქროში 52 კაცი მუშაობდა, ახლა 25 კაცი მუშაობს, განთავისუფლებული მუშები სამუშაოდ წავიდნენ მოსამზადებელ საამქროებში. ახალ უბნებზე ამ კვალიფიციური ხელის შრომას ორჯერ მეტი სარგებლობა მოაქვს საერთო საქმისათვის. თბომავლებს, როგორც წესი, ვადაზე ადრე ვუშვებთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებუ ლ მ ა ახალი ძალით გავაჩაღეთ ბრძოლა წარმოების ტექნიკური პროგრესისათვის. შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის, 4 მუშა უმაღლეს ტექნიკურ განათლებას იღებს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. ყოველ ორშაბათს სპეციალურად ვიკრიბებით და განვიხილავთ საამქროს კოლექტივის სწავლების საკითხებს, ვარკვევთ, ვის სჭირდება დახმარება, თვალყურს ვადევნებთ, რომ სწავლაში არავინ ჩამორჩეს.

თვითეული ჩვენგანის გამომუშავება ერთად იყრის თავს და მერე ვინაწილებთ კვალიფიკაციის მიხედვით. ახლახან პრემია მივიღეთ. გადავწყვიტეთ ამ ფულით დავხმარებოდით ა. ლისიცკის და ი. ფილუიევს, რომლებიც საერთო საცხოვრებლიდან ცალკე ბინებში გადავიდნენ. ასეც მოვიქეცით. საამქროს კოლექტივის სახელით მათთვის შევეძინეთ ავეჯი. სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ვაწყობთ მასობრივ. სეირნობებს.

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ახლახან დავამთავრეთ ისტორიული ორთქლმავლის შეკეთება. ამ ორთქლმავალს, რომელმაც სამუდამო სადგომი ჰპოვა ჩვენს დეპოში, ამშვენებს მემორიალური დაფა წარწერით: „ეს ორთქლმავალი შეაკეთეს მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კომუნისტებმა 1919 წლის 12 აპრილს კომუნისტურ შაბათობაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინმა დიადი თაოსნობა უწოდა".

ძვირფასო მეგობრებო, ქართველო ძმებო!

მიიღეთ ჩვენი გულითადი სალამი. გისურვებთ ახალ წარმატებებს შრომასა და ცხოვრებაში. დაე ჩვენი მეგობრობა კვლავაც ემსახურებოდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს!

მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კომუნისტური შრომის საამქროს კოლექტივის დავალებით: ვ. სტანილევიჩი — საამქროს ოსტატი, ნ. შიროკოვი — საამქროს პროფორგი, გ. გუდკოვი — ბრიგადირი, ა. ლებედევი — ზეინკალი.

ვ. სტანილევიჩი

* * *

ვალდებულება შეასრულეს

წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ხ. გოგოხია, პარტორგანიზაციის მდივანი დ. შონია) ჯერ კიდევ 19 აგვისტოსათვის გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება — მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 81 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 73 ტონისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილის პასუხად კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს სეზონის ბოლომდე დამატებით მოკრიფონ 10 ტონა ხარისხოვანი ჩაი.

დ. აბრალავა.

ტანკისტის დღის წინ

საქართველოს დედაქალაქის მშრომელნი ემზადებიან იმისათვის, რომ ფართოდ აღნიშნონ ტანკისტის დღე. ქალაქის საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში გაიმართა მოხსენებები, საუბრები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სახელოვან მეომართა გმირულ საბრძოლო გზას ქალაქის მთელ რიგ რაიონებში მოეწყო თბილისელთა შეხვედრები მამაც ტანკისტებთან, დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან.

კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ლიტერატურისა და ფოტოილუსტრაციების გამოფენა. აქ ექსპონირებული წიგნები და დოკუმენტები მოგვითხრობენ საბჭოთა ჯავშანსატანკო ჯარების გმირულ ბრძოლაზე ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საბჭოთა მეომრების მამაცობასა და გმირობაზე. ცალკე განფენილებაში წარმოდგენილია მასალები, რომლებიც ასახავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. ასეთივე გამოფენები გაიხსნა ოფიცრის სოლჟო სახლის ბიბლიოთეკაში, ქალაქის მთელ რიგ მასობრივ ბიბლიოთეკებში. (საქდესი).

უურძნის საკავშირო დათვალიერება

10 სექტემბერს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, პავილიონში „მევენახეობა და მეღვინეობა" გაიხსნა ყურძნის სრულიად საკავშირო დათვალიერება. მევენახეობის ყველა რაიონიდან აქ წარმოდგენილი ჯიშები ისევე მრავალფეროვანია, როგორც უხვი და მდიდარია მათი მოყვანის რაიონების ბუნება.

საუკეთესო მიღწევებისათვის მევენახეობაში დათვალიერების მონაწილეებს გადაეცემათ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლები და პრემიები.

140.000 ცხენი ჩამოვიდა!

იკისრეს, გაანაღდეს

წელს ლენინდრაოელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოძავალი პლენუმის შესახვედრად ვალდებულება იკისრეს ერთი თვით ადრე — 1 სექტემბრამდე მოეკრიფათ 366 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. თავდადებულმა შრომამ ასახელა ლენინდრაოელი მეჩაიეები. 1 სექტემბრისათვის მოკრეფილი ჰქონდათ 400 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული და ამით წლიურ გეგმას 44 ათასი კილოგრამით გადაეჭარბეს.

0,3 ჰექტარზე 7 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ან, ჰექტარზე გადაყვანით 24 ათასი კილოგრამამდე ჩაის ნედლეული, — ეს დიდი მიჩვენებელი ლამარა კვესელავას შრომის ნაყოფია, ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდია. ლამარამ მესამე წელია, რაც ცხაკაიას რაიონის პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა და შემდეგ მისი მარჯვე ხელი არ მოშორებია ჩაის პლანტაციას. წელს მარტო ჩაიდან მისი ოჯახი 40 ათას მანეთზე მეტს მიიღებს. ასეთები აქ ბევრია.

ლენინდრაოს კოლმეურნეობის წარმატებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით ამავე სოფლის საშუალო. სკოლის მოსწავლეებს ლია დვალიშვილს, ნათელა, ინეზა, ჯილდა, ლაურა დანელიებს, ლილი, მაყვალა გვაზავებს, მასწავლებლებს ტატიანა ბართაიას, ნინო, გუგუშა დანელიებს, სკოლის დირექტორს სერგო ციცხვაიას. მარტო მოსწავლეთა და მასწავლებელთა ძალებით ლენინდრაოს კოლმეურნეობაში უკვე მოიკრიფა 250 ათასი კილოგრამი ფოთოლი.

ამ დღეებში სოფელ ლენინდრაოში უჩვეულო სიხარული იყო. სამუშაოს დამთავრების შემდეგ კოლმეურნეები ხალხმრავალ კრებაზე შეიკრიბნენ.

სიტყვა აიღო პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. კ. ხუბულავამ, რომელმაც ილაპარაკა ლენინდრაოელ მეჩაიეთა სასახელო შრომაზე და პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჟ. ახალაიას.

მეშვიდე ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. დანელიამ, მოწინავე მკრეფავებმა ლ. კვესელავამ, მ. დანელიამ, კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. ბეჟანიშვილმა, ბანძის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა ს. სართანიამ და სხვებმა მაღალი ჯილდოს პასუხად ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

ჩვენ მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით, — სთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჟ. ახალაიამ, — კოლმეურნეთა სახელით პირობას ვიძლევი სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოვკრიფავ სახელმწიფოს ჩავაბაროთ 100 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით ღირსეული საწარმოო საჩუქრებით შევხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

კოლმეურნეთა ნება-სურვილით კოლმეურნეობას „საქართველო" ეწოდა.

შ. ბოგდუა.

„გამარჯვების" პლანტაციებში

სოხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების" მინდვრებზე წარმატებით მუშაობენ მეჩაიეთა ბრიგადები, რომლებმაც დღემდე სახელმწიფოს ჩააბარეს 125 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ წელს მოკრიფონ 140 ტონა ჩაი.

მეათე ბრიგადის მოწინავე მეჩაიეს გოგოშა გადილიას რგოლი გეგმას ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს. მის რგოლს წელს გეგმით მოსაკრეფი აქვს 17 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ვალდებულება კი 27 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს. პირადად გოგოშა იმისათვის იბრძვის, რომ 0,5 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 2.200 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფოს 6.500 კილოგრამი. დღემდე მოკრეფილი აქვს 5.400 კილოგრამი. მოწინავე მეჩაიეს მარგო ფარულავას მოკრეფილი აქვს 4.200 კილოგრამი.

ვერა გადილიამ შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა და თავის მშობლიურ კოლმეურნეობაში მუშაობს. დღემდე მას მოკრეფილი აქვს 4.000 კილოგრამი ჩაი. თანამოსაქმეებს მხარში უდგანან მოწინავე მეჩაიეები თ. გადილია, შ. კალანდია, მ. ფიფია, ლ. სხულუხია, ლ. გადილია და სხვები, რომლებიც 4.500-5.500 კილოგრამი ჩაისათვის იბრძვიან.

სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების" მეჩაიეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უფრო გააძლიერონ ჩაის კრეფის ტემპი, მისცენ სამშობლოს 150 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი და ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

ვ. გადილია,
სოფელ შრომის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ჩვენს ქვეყანაში

ორმოცი ქვეყნის სტუდენტები

„უმაღლესი განათლება სსრ კავშირში" — ასე ეწოდება სტუდენტთა საერთაშორისო სემინარს, რომელიც 10 სექტემბერს გაიხსნა მოსკოვის უნივერსიტეტში ლენინის გორაზე.

მოსკოვში ჩამოვიდნენ თითქმის 40 ქვეყნის — ალბანეთის, ალჟირის, ინგლისის, არგენტინის, ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბიროსის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სტუდენტთა ეროვნული და დიდი ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი. საბჭოთა წარმომადგენლებს შორის არიან მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი, ტალინელი, ტომსკელი, ტაშკენტელი, თბილისელი და მინსკელი ქალიშვილები და ჭაბუკები.

პირველ დღეს მოისმინეს სამი მოხსენება. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ა. პროფოფიევმა დაახასიათა საბჭოთა უმაღლესი სკოლის მიღწევები. მან მოიყვანა საინტერესო მონაცემები. ამჟამად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში შრომობს 7,5 მილიონზე მეტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 2.150 ათასი კაცი. ყოველ ათას მოსახლეზე სსრ კავშირში მოდის 20-მდე სტუდენტი.

ლენინგრადის უნივერსიტეტის პროორექტორმა ს. ი. ტიულანოვმა გააკეთა მოხსენება ჰუმანიტარული განათლების შესახებ სსრ კავშირში, ხოლო მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა მ. გ. ჩილიკინმა — ტექნიკური განათლების შესახებ.

სემინარის პროგრამა მოხსენებათა განხილვის გარდა ითვალისწინებს მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სწავლის პროცესის, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისა და ცხოვრების გაცნობას. გარდა ამისა, საზღვარგარეთელი სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიაში თემაზე „უნივერსიტეტი და საზოგადოება", გაეცნობიან სტუდენტთა ორგანიზაციების საქმიანობას და ახალგაზრდათა სპორტულ მოძრაობას. სემინარის მსმენელნი შეხვდებიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ა. ნ. ნესმეიანოვს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ვ. პ. ელიუტინს, დაათვალიერებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომურ ელექტროსადგურს, ატომგულის საკვლევ გაერთიანებულ ინსტიტუტს, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. (საკდესი).

პოლონეთში ქართული კულტურის დღეების წინ

28 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ეწყობა ქართული კულტურის დღეები. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა დ. ჩხეიძეშვილმა განაცხადა:

— ქართული კულტურის დღეების მოწყობა პოლონეთში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველი და პოლონელი ხალხების კულტურულ ცხოვრებაში. იგი ერთხელ კიდევ მოწმობს და გამოხატავს პოლონელი და ქართველი ხალხების გულწრფელი სიყვარულისა და ძმური მეგობრობის გრძნობებს. ჩვენი ორი ხალხის მეგობრობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები.

ამ ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას ხელს შეუწყობს საქართველო-პოლონეთის კულტურის დღეები. ამ დღეებში მონაწილეობისათვის პოლონეთს მიემგზავრება საქართველოს კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია 80 კაცის შემადგენლობით. დელეგაციის წევრებს შორის არიან რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატები, თვალსაჩინო მეცნიერები.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ქამანიანი ინსტრუმენტების საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივი საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის სტალინური პრემიის ლაურეატების ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. ჭიაურელის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების გ. ხატიაშვილის, ა. ბეგალიშვილისა და გ. ბარნაბიშვილის შემადგენლობით, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა" კ. კახიძის ხელმძღვანელობით; თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. ნაკაშიძე და ლ. გოცირიძე, დამსახურებული არტისტები ზ. ანჯაფარიძე, თ. მუშკუდიანი, ა. ჩიკავაძე, ტ. მახარაძე, მსახიობები ნ. ანდღულაძე, ე. ჭაბუკიანი, ლ. გეგელია, გ. მოწერელია, გ. ჭელიძე; ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეები — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვენის VII მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი ე. ვირსალაძე, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა პირველი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ლ. ისაკაძე, აგრეთვე კონცერტმეისტერი ე. დვალი.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ე. ხარაძე, აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი, პროფესორები გ. მელიქიშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ხუჭუა, მ. სააკაშვილი, პოეტი ი. აბაშიძე, კინორეჟისორი თ. აბულაძე.

ქართული კულტურის დღეები დაიწყება დიდი კონცერტით, რომელიც გაიმართება პოლონეთის დედაქალაქში.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ჩვენი ყველა შემოქმედებითი მუშაკი გულდასმით ემზადებოდნენ ამ ღონისძიებისათვის, რათა ღირსეულად უჩვენონ ქართული საბჭოთა კულტურა პოლონელ ხალხს.

ქართული კულტურის დღეებში პოლონეთის კვლავ უჩვენებს თავის ხელოვნებას პოლონელი მაყურებლისათვის უკვე კარგად ცნობილი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სტალინური პრემიის ლაურეატების, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნ. რამიშვილისა და სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. სუხიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით. ანსამბლის შემადგენლობაშია 41 კაცი.

ყოველდღე მოეწყობა ჩვენი დელეგაციის საკონცერტო ჯგუფის გამოსვლები. კონცერტების პროგრამაში ფართოდ წარმოდგენილია ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებები, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ნიმუშები. პროგრამაში შეტანილია აგრეთვე რუს და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. პროგრამის მომზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პოლონური მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო ნაწარმოებებს. პოლონეთის მუსიკის მოყვარულებს შეუძლებლობა ექნებათ მოისმინონ მათი თანამემამულეების შოპენის, შიმანოვსკის, მონიუშკოსა და სხვების ნაწარმოებები ქართველ მსახიობთა შესრულებით.

ამას გარდა ქართული კულტურის დღეებში თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები შ. ამირანაშვილი, ლ. გოცირიძე, ნ. ანდღულაძე, ზ. ანჯაფარიძე მონაწილეობას მიიღებენ ვარშავის, ვროცლავისა და პოზნანის ოპერის თეატრების ისეთ სპექტაკლებში, როგორიც არის „ვერდის „აიდა", ბიზეს „კარმენი" და პუჩინის „ტოსკა".

პოლონეთში ქართული კულტურის დღეების მოწყობის დროს ქართველი მეცნიერები წაიკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს საქართველოს მშრომელთა მიღწევების, ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის განვითარების შესახებ.

ქართული კულტურის დღეებში პოლონეთის კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება თბილისის კინოსტუდიი „ქართული ფილმის" კინოფილმები: „ბაშიაჩუკი", „ოთარაანთ ქვრივი", „საბუდარელი ჭაბუკი", „ჭრიჭინა", „მაგდანას ლურჯა", „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", „სხვისი შვილები", „ფატიმა", აგრეთვე მოკლემეტრაჟიანი ფილმები „ქართული ბალეტის ოსტატები", „ჩხიკვთა ქორწილი", „სამი მწვერვალის იერიში", „ბორჯომის ხეობა", „თბილისი 1500 წლისაა" და სხვ.

ამაღე დღეებში ვარშავაში მოეწყობა ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნაწარმოებების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება 500-ზე მეტი ნამუშევარი.

პოლონეთში უკვე გაიგზავნა ქართველ კომპოზიტორთა 100-ზე მეტი ნაწარმოები, მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი ხალხური შემოქმედების ნიმუშები. გაიგზავნა აგრეთვე გრამფოფონის ფირფიტების ოთხი ალბომი. ფირფიტებზე ჩაწერილია ჩვენი კომპოზიტორების ნაწარმოებები. გაგზავნილია დიდძალი მხატვრული ლიტერატურა, აგრეთვე მასალები ქართული არქიტექტურის ფოტოგამოფენისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ქართული კულტურის დღეები პოლონეთში იქნება ახალი ნაბიჯი საბჭოთა და პოლონელი ხალხების კულტურული ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და მეგობრობის განმტკიცების გზაზე. (საკდესი).

მიიღე სამშობლოვ, ჩვენი საჩუქრები!

◆ **ბორჯომის** რაიონის კოლმეურნეობებმა 5 სექტემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით, რძისა — 102,9 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

◆ **ასპინძის** რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძისა და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა. რძის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით, კვერცხისა — 101 პროცენტით.

გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის ბეწვეულის მიყიდვის გეგმა.

◆ **ტყიბულის** რაიონმა 5 სექტემბრისათვის შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით. (საკდესი).

◆ **ლანჩხუთის** რაიონის მშრომელებმა 9 სექტემბრისათვის 100,6 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. დამზადებულია 221.326 კილოგრამი პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 220.000 კილოგრამისა. რაიონის მეაბრეშუმეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 8.000 კილოგრამი პარკი.

ვალდებულება — ცხოვრების აღმოსავლეთი

თანაჯგუფელები ერთ გრიგადაში

ახალგაზრდები წამყვან ძალას წარმოადგენენ გორის ბამბეულის კომბინატში. ყოველწლიურად საფაბრიკო-საქარხნო სკოლიდან ათობით ქალიშვილი მოდის საწარმოში და ადგილს იკავებს სართავ, საქსოვ მანქანებთან. ისინი მალე იწაფებიან, წარმატებით ითვისებენ პროფესიებს და ბევრ გამოცდილ ფეიქარს არ უდებენ ტოლს მუშაობაში.

მარგარიტა კარმაზანაშვილმა შარშან დაამთავრა გორის ახალგაზრდა ფეიქრებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ვ. გაგანოვას თაოსნობას. ისინი მეგობრულ დახმარებას უწევენ ჩამორჩენილებს, ზრუნავენ საერთო აღმავლობის მიღწევისათვის.

სურათზე: გორის ბამბეულის კომბინატის მოწინავე მრთველი მარგარიტა კარმაზანაშვილი.

ფოტო შ. კუკულავასი.

ეროვნული ოჯახი

ავგისტოს სიცხეში ჩაის პლანტაციებში სასიამოვნო სურნელი ტრიალებს. ხალისიანია ეს თვე მეჩაიეებისათვის. მზიანი დარები იცის, ფოთოლსაც მოზღვავება სჩვევია. რგოლები და ბრიგადები, ხშირად მთელი კოლმეურნეობებიც სწორედ ამ თვეში ამთავრებენ თავიანთ გეგმებს. გარდა ამისა, „საქართველოს თაიგულის“ ორი პატარა უნაზესი ფოთოლი აგვისტოში იკრიფება და ბევრ მეჩაიეს, მეტადრე ქალიშვილებს, ძალიან უყვართ ამ პატარა, სათუთი ფოთლების კრეფა. და ასე, აგვისტოში, ამ გადამწყვეტ თვეში, კოლმეურნენი ასრულებენ გეგმას, ლაღად ამოისუნთქავენ, მერე კი შეუდგებიან ნებისმიერ კრეფას... რამდენადაც ბევრი იქნება გეგმის ზევით მოკრეფილი ჩაის ფოთოლი, იმდენად მაღლდება მათი შრომის ნაყოფი და ესეც მათი სიხარულია..

სწორედ ასეთ განცდებში იყვნენ აგვისტოში სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კოლმეურნენი. ამ პატარა სოფლის კოლმეურნეობამ მთელი საქართველოს სახელი შეიძენა და განა შეიძლებოდა მოწინავეთა რიგებში არა მდგარიყო? მით უმეტეს მეგობრობის გარდამამავალი დროშა, რომელიც უკრაინის გენიჩესკის რაიონმა დააწესა მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებისათვის, შარშან ნაგომრელებმა მოიპოვეს შრომითს ბრძოლაში და ხელიდან გაშვება აღარ უნდოდათ. თუ ამ გარემოებას იმასაც დავუმატებთ, რომ გენიჩესკის რაიონის სოფელ ნოვოალექსეევკის კოლმეურნეობა „უკრაინამ“, რომელთანაც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, ამას წინათ ნაგომრელებს აცნობა, რომ მათ პირველებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩურის ჩაბარების გეგმა და მოიპოვეს მახარაძის რაიონის მიერ დაწესებული ასეთივე მეგობრობის დროშა, ცხადია, ამ დროშას არავის არ დაუთმობდნენ.

დიდი არ არის სოფელი ნაგომარი, მაგრამ ძალიან ლამაზია. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს გურია, მისი მთების სიმშვენიერე, ნაგომარიც შეუძლია წარმოიდგინოს. სოფელს ერთ მხრივ გადმოსცქერის ბახმაროს და გომის მთები, სადაც შეფენილია სოფლები მთისპირა და ვაკეკენარი, ასკანა და თამფალეთი, მეორე მხრივ წარმტაც სანახაობად მოჩანს ნიგოითისა და ტოლების მთები — ეანით, ზომლეთით და ამაღლებით. ნაგომრის შუაგულში წიფლნარის ნაკრძალია, სოფელი კი სწორედ ამ ტყის ირგვლივ არის გაშენებული. შუაგულში ეს ფოთლოვანი ტყეა, გარშემო ჩაის პლანტაციები, შორიახლოს კი ჭალასავით ამბიბინებული სუფსის გაშლილი ხეობა.

ნაგომრელები ყოველ წელიწადს იბრძვიან ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის, რამაც სოფელი აყვავა, ფაცხები ოდა-სახლებით შეცვალა.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ბრიგადები ერთმანეთს კი არ ეჯიბრებოდნენ, არამედ ახალისებდნენ საერთო შრომაში, სოფლის საერთო საქმისათვის. დადგა ეს სანუკვარი თვე — აგვისტო. ვერავინ იტყოდა, ფოთოლი არ არისო. ნამდვილი მწვანე ზღვაა... მაგრამ ფოთლები თავისით არ მოზღვავებულან! ნაგომრელებმა ამას საფუძველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ ზამთარში, როდესაც ეგებებამბეულის კომბინატის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა და სართავ ფაბრიკაში მრთველად დაიწყო მუშაობა. ბეჯითმა, შრომისმოყვარე ქალიშვილმა მალე გამოიჩინა თავი და კოლექტივის პატივისცემა დაიმსახურა. იგი ცვლის დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებს.

წელს მ. კარმაზანაშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა საფაბრიკო-საქარხნო სკოლის თანაჯგუფელები. ამხანაგებმა მას ბრიგადირობა მიანდეს. მარგარიტა კარმაზანაშვილის ფეიქართა ბრიგადა, რომელიც კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდების მოპოვებისათვის იბრძვის, სანიმუშოა მთელ კომბინატში. ბრიგადის წევრები რაციონალურად იყენებენ სართავ მანქანებს, სამუშაო დროს, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს, დიდი რაოდენობით ზოგავენ ნართს, შეუპოვრად იბრძვიან ფეიქართა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

ახალგაზრდა ფეიქრებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ვ. გაგანოვას თაოსნობას. ისინი მეგობრულ დახმარებას უწევენ ჩამორჩენილებს, ზრუნავენ საერთო აღმავლობის მიღწევისათვის.

სურათზე: გორის ბამბეულის კომბინატის მოწინავე მრთველი მარგარიტა კარმაზანაშვილი.

ფოტო შ. კუკულავასი.

ნარკვევი

ბოდნენ ჩვენი პარტიის ოცდამეერთე რიგგარეშე ყრილობას. იმ დღეებისათვის უნდა დაემთავრებინათ პლანტაციების მსუბუქი შებარვა, წესრიგში მოეყვანათ სარწყავი ქსელი, ამოეწმინდათ და შეეკეთებინათ წყლის შემკრები არხები, აგრეთვე ახალი არხებიც გაეყვანათ. ეს სამუშაოები მაშინაც მთელ რაიონში პირველებმა შეასრულეს.

დადგა გაზაფხული. ხეხილზე კვირტებმა იფეთქა. მართალია, ნაგომრელმა კოლმეურნეებმა კრეფის შესახებედრად სრული თადარიგი გასწიეს — მზად ჰქონდათ ყალათები და გოდრები, სასწორები და ჩაის მიმღები პუნქტები, პლანტაციებში მისასვლელი გზები და წყიმის შემთხვევისათვის თაღშესაფარი ფარდულები, სველი სასადილოები და ბავშვთა ბაგები, მაგრამ ბუნებამ როდი შეუწყოთ ხელი. მაისსა და ივნისში სიცივეები დაიჭირა. ბახმაროს მთებზე თოვლი არა დნებოდა და მისი სუსხი მოქმედებდა ჩაიზე. ბოლოს ეს თოვლი გადნა და დაიწყო მზიანი ამინდები, მაგრამ ახლა სიცხეებმა შეაწუხა ჩაის სათუთი ფოთლები. ნაგომრელებმა არც ამ შემთხვევაში დაიკარგეს გულნელი. განუწყვეტლად აფხვიერებდნენ მიწას და ნიადაგს სინესტეს უნარჩუნებდნენ. ბუნებასთან ბრძოლაში ანა დრკებოდნენ და უხვად მოკრეფეს ჩაის ფოთოლი მაისშიც, ივნისშიც და ივლისშიც. ასე მოვიდა აგვისტო — ჩაის ფოთლის კრეფის მართლაც გადამწყვეტი თვე. ნაგომრელებმა ყოველი დღე ბრძოლის დღად გადაიქცეს და თექვსმეტ აგვისტოს, დღის პირველ საათზე პლანტაციებში აფრიალდა შარშან მოპოვებული მეგობრობის დროშა, რაც მისი შენარჩუნების ნიშანი იყო.

ლაღად ამოისუნთქეს ბრიგადირებმა და მრრგოლფორებმა, ყოველმა კოლმეურნემ — ქალმა და კაცმა. ასეთი დღე როგორ არ უნდა აღენიშნა სოფელს. ასწლოვანი ცაცხვის ტოტებქვეშ გაშლილ სუფრაზე ისმოდა სასიხარულო სიტყვები და სადღეგრძელოები:

— ჩვენმა კოლმეურნეობამ „საქართველომ“ წელსაც გაიმარჯვა!

— კვლავაც გამარჯვებული ყოფილიყოს „საქართველო!..“

ეს გამარჯვება განპირობებულია ადამიანებით, მათი აღმზრდელი ოჯახებით!..

აი ნაგომრელი კოლმეურნის ერთი ოჯახი, რომელშიც, როგორც სარკეში მთელი კოლმეურნეობა ჩანს, როგორც ერთი მთლიანი საბჭოთა ოჯახი.

ვასილ მამალაძე სამოცდათორმეტი წლისაა, მაგრამ შესახედაობით ამ ხნისას როდი ჰგავს. მის სახეს სტუმართან ღიმილი არ შორდება, ჩვეულებრივ მდგომარეობაში კი მზრუნველი გამომეტყველება სიდარბაისლეს ჰმატებს. თავისი ორსართულიანი სახლის კიბეებზე ახალგაზრდულად ადის, თუმცა ვასილი ამ გარემოებას ბავშვობიდან არ არის მიჩვეული, რადგან მათი ქოხი მაშინ პირდაპირ მიწაზე იდგა. ეს ქოხი ახლაც დგას მის ეზოში ოღონდ როგორც მამის სახსოვარი, თუმცა არა მარტო მამისა, არამედ იმ დროის გლეხური ცხოვრებისა. ამ ქოხში ახლა სამზარეულოა მოწყობილი.

ვასილის მამა გაჭირვებას ებრძოდა და გაჭირვებაშივე მოკვდა. ერთადერთი შვილი ჰყავდა და წერა-კითხვა ძლივს ასწავლა. პატარა მდინარის პირას წისქვილის ახლოს საზიარო სიმინდი მოჰყავდა, მაგრამ ეს ოჯახს სამ-ოთხ თვესაც არა ჰყოფნიდა. თოთხმეტი წლის ვასილი უკვე გარესამუშაოზე დადიოდა. ჯერ ფოთში წავიდა, სადაც სავაჭრო გემებზე საჭონელს ტვირთავდა, მერე უფრო შორს, ნოვოროსიისკში გაემგზავრა, რომლის ცემენტის ქარხანაშიც მტვირთავად მუშაობდა. ცემენტით სავსე ათფუთიანი ტომრებს ეზიდებოდა. ხუთიექვსი თვის გარე-გარე სიარულში ნაშოვნი ფულით ბრუნდებოდა სოფელში. იყიდიდა სიმინდს, მარილს, საპონს, ნავთს და ბნელ ქოხში ატარებდა თავის წუთისოფელს. ბევრი მძიმე დღე გადაუტანია ვასილს სიყმაწვილის დროს. წვიმასა და თოვლ-ქუხაში, ყინულსა და სიცხეში ბევრჯერ ღია ცისქვეშ გაუტარებია ღამე. ცოლიც შეირთო, მაგრამ გარესამუშაოზე სიარულს თავი ვერ დააღწია. პირიქით, უფრო მეტი შრომა და ზრუნვა სჭირდებოდა.

— მომბეზრდა მოხეტიალე ცხოვრება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, — ამბობს ვასილი და თვითონვე დასძენს: — კოლექტივი რომ არ დაწყებულიყო, ვინ იცის, სად ამომხდებოდა სული. სწორედ ოცდაათი წლის წინათ შეეკედი კოლექტივში. თავი მივანებე სიარულს. ჩვენი სოფლის ჩაის პლანტაციების გაშენება ჩემი თაობის ხალხმა დავიწყეთ. დღედაღამე ვმუშაობდით, მთვარის შუქზეც და უმთვაროდაც, ხშირად ლამპის სინათლეზე დაგვთენებია ჩაის კაკალი. სწორედ ამ ჩაიმ დამასახლა და ოჯახი დამიმკვიდრა. — და ვასილი შესაცქერის სახლს, რომელიც ათი თვალისაგან შედგება. სახლი ფართო ეზოშია წამომდგარი. ეზო ყოფნდარით ამწკრანებულა. ვაშლსა და მსხალს ტოტები დაუმძიმებია. ღობეს იქით კი სიმინდი შრიალებს.

— ყველაფერი ჩაიმ ამიშენა. მართალია დიდი ოჯახი მაქვს, მაგრამ შემოსავალიც დიდი მაქვს. მარტო შრომადღეებზე ყოველწლიურად სამოცი და ოთხმოცი ათასი მანეთიც მიმიღია!

— რამდენი შვილი გყავთ? — ვეკითხები ბავშვობიდანვე შრომაში გამობრძმედილ მოხუცს.

სიამაყის იერმა გადაჭრა ვასილს, თავი უკან გადასწია და მიპასუხა:

— შვიდი!..

„მარტო შვილების სიმრავლე არ არის საამაყო, — ვფიქრობ გულში, — საამაყო ის არის, თუ რას აკეთებენ და რით ემსახურებიან ქვეყანას“.

— მამაჩემმა ერთ შვილს ვერ მასწავლა და გზაზე ვერ დამაყენა, მე კი შვილმა და მომიყვა შვილების ამბავს.

მისი უფროსი შვილი მიხეილი პოდპოლკოვნიკია. სამამულო ომში ნაბრძოლი ოფიცერი ახლაც საბჭოთა ჯარში იმყოფება. მეორე ლიტერატორია და ჩაქვის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს, მესამე ისტორიკოსია და ნაგომრის საშუალო სკოლაში ასწავლის ბავშვებს, მეოთხე ქალაქ ქუთაისში მსახურობს, მეხუთემ საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და გათხოვდა, საკუთარი ოჯახი შექმნა ნატანებში. ორი ვაჟი კი — ავთანდილი და ამირანი კოლმეურნეობის ბრიგადირები არიან. არც ის გამორჩა ვასილს, რომ რძლებითაც გახარებულია. ავთანდილის ცოლი — ლიანა მათ სოფელში ბავშვთა ბაგის გამგეა. როგორც მშობელი დედა ისე უყვარს ის ჩაის პლანტაციებში საშუალოდ გასული მშობლების ბავშვებს. კოლმეურნეობა მათ ოთახებს აკლებს, ბავშვებს უხვად აქვთ რძე, კვერცხი, ყველი, ხორცი და ბოსტნეული.

როდესაც ვასილის ოჯახი ერთად იკრიბება და სუფრას შემოუსხდება, ნამდვილი დღეობა გეგონებათ. ოჯახს თავს დასტრიალებს დედა და დიდედა გოგოლა. არც შვილებს აკლებს მზრუნველობას და არც შვილიშვილებს. არ დაიძინებს, ვიდრე ყველა შინ არ შემოვა, არც მაშინ მოხუჭავს თვალს, თუ რომელიმე შეეძლოდ არის. არც ჩაის პლანტაციას ივიწყებს, ჩაის საკრეფადაც გადის და თავისი წვლილი შეაქვს კოლმეურნეობაშიც და ოჯახშიც. თავდადებული დედის მზრუნველობით გაზარდა შვიდი შვილი. მშობლებს მუდამ უზარმაზარ შვილების გამრჯობა. სახეზე ღიმილით ეგებებოდნენ ნაჯაფარი შვილებს შინ მოსვლას. ეამაყებოდათ, რომ სოფლად არავის ჩამორჩებოდნენ არც სწავლაში, არც შრომაში.

ამირანი და ავთანდილი ოჯახის ბურჯები არიან. მშობლებს ისინი ერთნაირად უყვართ. სოფელსაც ერთნაირად უყვარს და ერთნაირადვე სცემს პატივს. ისინი ერთ დღეს დაიბადნენ. ტყუპები არიან. თითქოს მთელი სიცოცხლე ერთმანეთს ეჯიბრებიანო, არაფერში არ ჩამორჩებიან ძმები ერთმანეთს. საშუალო სკოლა ერთად დაამთავრეს. ბავშვობის დროს ჩაის საკრეფად ერთად გადიოდნენ და მოკრეფილი ფოთლის რაოდენობაც თითქმის ერთნაირი ჰქონდათ. აირჩიეს ავთანდილი ბრიგადირად და ამირანიც იმავე წელს ბრიგადირად წამოაყენეს. წლების განმავლობაში ბრიგადირებად მუშაობენ და ყოველ წელს გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ორივე ბრიგადა მილიონერია.

— ამირანი მეექვსე ბრიგადას ხელმძღვანელობს, ავთანდილი კი მეშვიდეს. მხოლოდ ამით აჯობა ავთანდილმა ამირანს! — ხუმრობით ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა სარიჩელი. ძმებს კი ეღიმებათ მის სიტყვებზე, რადგან გულწრფელად უყვართ ერთმანეთი და ერთმეორის გასწრებას კი არა ცდილობენ, არამედ ხელის შეწყობას. თუ რომელიმე მათგანი ჩამორჩება, ძმა ძმას თავის ბრიგადას მიაშველებს ხოლმე, სპერა, რომ არც მას დაეზარება სამაგიეროს გადახდა.

ავთანდილისა და ამირანის ბრიგადებმა წელს აგვისტოში შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, მაგრამ მაშინვე იცარეს კიდევ დამატებით ოც-ოცი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოეკრიფათ. დღეს ესეც შესრულებული აქვთ.

ვასილ მამალაძის ოჯახს ღირსეული წვლილი მიუღია კოლმეურნეობის საერთო მოღწეულებში, ეს ოჯახი კი სრული გამოხატულებაა მთელი სოფლის დანარჩენი ოჯახებისა, რომლებმაც პატიოსანი შრომით თავიანთ ერთიან ოჯახს — კოლმეურნეობას სასახელო გამარჯვება მოუპოვეს.

ახლა ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველო“ ჩაის ფოთლის ზეგეგმით კრეფას განაგრძობს, რითაც ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

ელიზბარ ზედგინიძე.

ასე არ შეიძლება დიდი ქიმია

შვიდწლედში რუსთაველ უნდა გადაიქცეს რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად. ამჟამად არსებული აზოტოვანი სასუქების ქარხნის გარდა აქ ამენდება კაპროლაქტამის წარმოების საამქროები და ხელოვნური ბოჭკოს ქარხანა.

როგორ ვითარდება რუსთაველში ქიმიური მრეწველობა? სამწუხაროდ, არადამაკმაყოფილებლად. აი ფაქტებიც:

სამპოლიანობა ძოითხოვს აღინიშნოს, რომ სამეურნეო წელი ქიმიკოსებმა კარგად დაიწყეს. წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. მაგრამ როგორც ჩანს, ამით დაკმაყოფილდნენ, თვითდამშვიდებას მიეცნენ. ეს უკანასკნელი თვეებია აქ დამკვიდრდა არაორგანული, არარეტაბელური მუშაობა, ეერიშობანა, უდისციპლინობა. იმვიათი როდია ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა, ავარიები, საწარმოო გეგმების შეუსრულებლობა. იელისსა და აგვისტოში ქარხნის კოლექტივმა ასობით ტონა პროდუქცია დაკარგა ქეეყანას. ამან კი გამოიწვია დიდი ზარალი, პროდუქციის გაძვირება, შრომის ნაყოფიერების დაკვეთა. გადის დრო, მდგომარეობა იგივეა. აგვისტოში გეგმა ქარხნის ვერც ერთმა საამქრომ ვერ შეასრულა.

მეტად არაჯანსაღი მდგომარეობაა ქიმიური მრეწველობის ახალი ობიექტების მშენებლობაზე. აქაც ტრადიციად იქცა გეგმების შეუსრულებლობა. არც აზოტოვანი სასუქების ქარხნის ხელმძღვანელები, არც მშენებლები და არც ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის დირექცია ინიციატივას არ იჩენენ, არ აბრკო�ეებენ ქმედითი ღონისძიებებს. ამის შედეგია, რომ აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოების გეგმა წელს სანახევროდაც არ სრულდება. ასევე დიდი ჩამორჩენაა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში. მაგალითად, კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა და ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობის გეგმები არ სრულდება. მშენებლებმა 7 თვეში შეძლეს გამოყოფილი თანხის მეტად მცირე პროცენტის ათვისება.

რატომ არის ასეთი გარღვევები, რატომ ასე ეღიმებამად მიმდინარეობს ქიმიური ობიექტების მშენებლობა?

წინათ ამის მიზეზად საპროექტო დოკუმენტაციის უქონლობას ასახელებდნენ. ამჟამად ეს მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, მაგრამ ჩამორჩენა მაინც გრძელდება. ყოველივე ეს გამოწვეულია სამეურნეო, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების მოუქნელი, შეუთანხმებელი და არაკოლეგიალური მუშაობით. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აზოტოვანი სასუქების ქარხნის ჰაერის გაწცალკევების საამქროში „კაველექტრომონტაჟის“ კოლექტივს საშუალება არა აქვს ფართო მასშტაბით აწარმოოს მუშაობა. ეს იმიტომ, რომ ქარხანამ ვერ მოამზადა მემონტაჟეები საჭირო რაოდენობის კაბელითა და მოწყობილობით. ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მომარაგების განყოფილება ტუდად უზრუნველყოფს მშენებლებს და მემონტაჟეებს საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით.

იმის გამო, რომ ტექნიკური მომარაგების მთავარმა კანტორამ ვერ მოამარაგა მემონტაჟეები ზოლური რკინით, ლითონკონსტრუქციის სამმართველო დროულად ვერ შეუდგა სამონტაჟო სამუშაოებს.

ქიმიური მრეწველობის განვითარების საქმეში საჭირო ოპერატიულობას და ქმედითობას ვერ იჩენენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო.

მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი.

აზოტოვანი სასუქების ქარხანაში დაგეგმილია გვარკილის წარმოების მნიშვნელოვანი ოდენობით გაზრდა. ეს უნდა მოხდეს არსებული საამქროს გაფართოების გზით. მაგრამ რა გაფართოებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სახალხო მეურნეობის საბჭოს ჯერაც არ გამოუყვანია საამისოდ საჭირო ფონდები. ქარხანამ არ იცის, საიდან, რომელი საწარმოდან მიიღოს საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები, ელექტროარმატურა, კაბელი და სხვა მასალები.

არანორმალური მდგომარეობაა სამშენებლო მოედნების ტექნიკით უზრუნველყოფის საქმეში. ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაზე ყოველდღიურად საჭიროა 25-30 ამწე კოშკი. ფაქტიურად აქ სამინისტროს მიერ გამოყოფილია 3 ამწე. უფრო მეტიც — სამინისტრომ ძლივს გაიმეტა ასეთი სერიოზული მშენებლობისათვის ორი ვიბრატორი, როცა ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა 200-300 ცალი. ასეთივე მდგომარეობაა ავტოამწეებით, ბულდოზერებით და ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და მშენებლობის სამინისტროს სუსტ ხელმძღვანელობასა და კონტროლზე ისიც მეტყველებს, რომ სამშენებლო ობიექტებზე, სადაც წყდება რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარების ბედი, ჯერ კიდევ გაყვანილი არ არის ელექტრობაზი და მექანიზმებს მამაპაპისეული შიდაწვის ძრავებით ამუშავებენ. მართალია, აქ ძირითადი დამნაშავე „კაველექტრომონტაჟის“ სამმართველოს ხელმძღვანელობაა (უფროსი ვ. კლაჩკო, მთავარი ინჟინერი ვ. ოვატი), მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭო და მშენებლობის სამინისტროც ხომ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი მშენებლობის ბედით!

გაკვირვებას იწვევს ის, რომ კაპროლაქტამის წარმოების საამქროსა და ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის პროექტები მიღებულია 4-5 თვის წინათ რკინაბეტონის კონსტრუქციების დაკვეთები კი მხოლოდ ახლახან მიეცა სათანადო ქარხნებს. ცხადია, ასე უთავბოლო მუშაობამ და საქმისადმი ინტერესის უქონლობამ, რაც მშენებლობის ტრესტის ტექნიკურ განყოფილებაში გამოიჩინეს, გამოიწვია მშენებლობის დიდი შეფერხება.

მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ასეთი მუშაობით დიდი ქიმია არ შეიქმნება.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვალდებულება და ცოცხალი საქმეგი

პასუხად თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მოწოდებისა შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულების შესახებ ჩვენი მაღაროს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა შვიდწლედის დავალება 6,5 წელიწადში შეასრულოს, ხოლო პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების შვიდწლიანი გეგმა 6 წელიწადში. ამასთან ერთად გათვალისწინებულ იქნა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

ვალდებულება ვიკისრეთ წელს შვიდწლედის ფონდში შევიტანოთ 0,5 მილიონი მანეთი.

მაღაროს კოლექტივი შვიდწლედის პირველი დღეებიდანვე ენერგიულად შრომობს ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. წელს არ ყოფილა არც ერთი უბანი და ცვლა, რომელსაც დიდი გადაჭარბებით არ შეესრულებინოს ყოველთვიური საწარმოო დავალება.

მაღაროს კოლექტივის მაღალი საწარმოო მაჩვენებლები ძირითადად იმან განაპირობა, რომ მაღაროს მრავალრიცხოვანი პარტიული ორგანიზაცია სათავეში უდგას შრომელთა შემოქმედებითს ინიციატივასა და თვითმოქმედებას. 147 კომუნისტიდან გადაწყვეტ უბნებზე მიწის ქვეშ უშუალოდ პროდუქციის შექმნაზე მუშაობს 102. თვითეული კომუნისტი ნაკისრ ვალდებულებას ასრულებს, ხოლო კომუნისტები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბრამიშვილი, ბ. ქველაძე, აკაკი და მიხეილ ღუღუნიშვილები, რ. ბრეგვაძე, პ. მეცხოვრიშვილი, ბ. ჩუბინიძე და სხვები დავალებებს სისტემატურად 130-140 პროცენტით ასრულებენ.

პარტიული ბიურო საჭიროების მიხედვით განიხილავს ჩამორჩენილი უბნის თუ ცვლის მუშაობის საკითხს, იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გასული წლის ბოლოს საგრძნობლად ჩამორჩენილი იყო მაღაროს მეორე უბანი. პარტიულმა ბიურომ შეისწავლა ეს საკითხი. გამოირკვა, რომ უბანი ტექნიკურად მოუწყობელი იყო, დაბალ დონეზე იდგა შრომისა და საწარმოო დისციპლინა, უბნის გამგე და ცვლის უფროსები ჯეროვან წესრიგს ვერ ამყარებდნენ მომუშავეთა შორის. პარტიულმა ბიურომ გადაწყვიტა გაეძლიერებინა უბნის ხელმძღვანელობა და განახორციელა მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებანი. უბანში ცვლის უფროსად გადაყვანილ იქნა ახალგაზრდა ტექნიკოსი ო. ლორია, რომელმაც სწრაფად უზრუნველყო წარმატება. ამჟამად მეორე უბანი ერთ-ერთი მოწინავეა მაღაროში.

კომუნისტ მაღაროელთა ყოველდღიური ზრუნვის საგანია წარმოების ვიწრო ადგილების შესწავლა, საწარმოო პროცესების სრულყოფა, გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული მუშაობის გაუმჯობესება.

მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბრამიშვილი. მისი წინადადებით მაღაროს მეოთხე უბანში მოეწყო სამაგრი მასალის საწყობი, რამაც ხელი შეუწყო უბანში სამაგრი მასალის მიახლოებას და აყირათიანად ხარჯვას. მასვე ეკუთვნის წინადადება ამავე უბანში მარგანეცის ზიდვის გაუმჯობესების მიზნით № 2 სავენტილაციო შტრეკის საზიდად გადაკეთების შესახებ.

მეხუთე უბნის № 12 საზიდში იმის გამო, რომ ზიდვა მექანიზებული არ იყო, მარგანეცის ამწმენდებს უხდებოდათ ცარიელი ვაგონების მიტანა სანგრევებამდე შორი მანძილიდან, რაც იწვევდა მოცდენას და დაბლა სცემდა შრომის ნაყოფიერებას. ამ საქმეს ჩაუფიქრდა უბნის გამგე კომუნისტი ვლ. მასხარაშვილი და შემოიტანა წინადადება № 12 შტრეკში ზიდვის მექანიზაციის შესახებ, რაც მოითხოვდა მთელ რიგ სამუშაოთა შესრულებას. ამხ. ვლ. მასხარაშვილი თვითონ ჩაუდგა საქმეში წინადადების განხორციელებას, და ამჟამად მეხუთე უბნის № 12 საზიდში მოწყობილია საელმავლო ზიდვა; ლიკვიდირებულია მუშათა მოცდენის შემთხვევები.

მაღაროში მომუშავე კომუნისტები დიდი აღფრთოვანებით გაეცნენ ვ. გაგანოვას პატრიოტულ თაოსნობას. ბევრმა კომუნისტმა გამოთქვა სურვილი სამუშაოდ წავიდეს ჩამორჩენილ მაღაროში. კალინინის სახელობის მაღაროდან მაღარო „ახალ ითხვისში“ თავიანთი სურვილით სამუშაოდ წავიდნენ მოწინავე მაღაროელები — მბურღავები დავით და შოთა ყაველაშვილები, მებიგეები გრ. ბოჭორიშვილი, ს. ჯაჯანიძე, რ. ქაშაკაშვილი, ი. ჭიღლაძე, ამფეთქებლები ვ. აბესაძე და ნ. მოდებაძე. ისინი თავდადებულად შრომობენ და დიდი გადამეტებით ასრულებენ დავალებებს. ამჟამად კალინინის სახელობის მაღაროდან „ახალ ითხვისში“ სამუშაოდ წასულია 20 კომუნისტი — მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები.

ო. გოგატიშვილი,
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

მთელი ძალები — სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად!

შვიდწლედის ფონდში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). შვიდწლედის პირველი წლის გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ზუგდიდის ყველ-კარაქის ქარხანა (დირექტორი კ. ხარებავა), რომელმაც წლიური დავალება პირველი სექტემბრისათვის 107,5 პროცენტით შეასრულა და გეგმის/ გადამეტებით მშრომელებს 104 ათასი მანეთის კარაქი, ყველი, ნაყინი მიაწოდა.

ქარხნის კოლექტივის გულმოდგინე შრომის შედეგად რვა თვეში შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია 155 ათასი მანეთი.

ამ ქარხნის მოწინავე მუშები ე. ფირცხალავა, ზ. კუპრავა და ა. სიმონცოვი, ყოველდღიურ გეგმებს 170-180 პროცენტით ასრულებენ.

ქარხნის კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა წლის ბოლომდე მშრომელებს ნახევარი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მიაწოდოს.

ეტყობინება „კომუნისტის“ საგუშაგო

ორთა შეჯიბრება

ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში. პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით კოლმეურნეობაში საგრძნობლად გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ჯიშის ძროხების საუკეთესო მოვლის შედეგად საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.450 ლიტრი რძე. რაც დიდად სჭარბობს გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს. საკვები რესურსების ადგილზე გამონახვის გზით მნიშვნელოვნად შემცირდა შრომის დანახარჯი რძის წარმოებაზე.

კოლმეურნეობას ბევრი წარჩინებული მეცხოველე ჰყავს, მაგრამ მათ შორის პირველობას არავის უთმობს მოწინავე მწველავი ეფენა მუქერია. მას მოსავლელად ჰყავს ადგილობრივი ჯიშის 12 ძროხა, თვითეულ ძროხაზე დღემდე მიღებული აქვს 1.560 ლიტრი რძე, ხოლო წლის ბოლომდე 1.800 ლიტრს მიიღებს. კარგი შედეგები აქვთ აგრეთვე მწველავებს ე. ჯულაყიძეს, მ. რევიშვილს, ს. ხუჭუას.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელთა შესანიშნავი თაოსნობის პასუხად გადავწყვეტეთ წველადობის წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შევასრულოთ, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით თვითეულ ძროხაზე მივიღოთ 200 ლიტრი რძე. ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოოთ 250 ცენტნერი რძე ნაცვლად წლიური გე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიტერატურო მოგზაურობა შელოხოვთან

1.

ეადაწყდა. მიდიხარ. მიდიხარ ყველასათვის საყვარელ ადამიანთან, რომელსაც სულ მუდამ იცნობდი, რომელიც შენს გვერდით იდგა, გამხნევებდა, ძალას გმატებდა, გასწავლიდა, როგორ იარო ცხოვრებაში. მაგრამ ის ადამიანი თვალით ერთხელაც არ გინახავს. არ გინახავს, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ხარ, რომ მას სულ სხვანაირი თვალები და ხელები აქვს, სულ სხვანაირი ღიმილი, რადგან ყოველ წუთს გრძნობ მისი თვალების, ხელებისა და ღიმილის სითბოს... და აი უნდა შეხვდე მას. თვალი თვალში უნდა გაუსწოროს და ხელი ჩამოართვა... სხვა არაფერი აღარ გახსოვს. მხოლოდ ის ადამიანია შენში და მხოლოდ ამ ადამიანზე ფიქრობ.

ასე დაგვემართა სწორედ დიდ რუს მწერალ მიხეილ შოლოხოვთან გამგზავრების წინ. საყვარელი მწერლის ნახვის სურვილმა ერთბაშად მოგვწყვიტა მიწას და დონური ტრამალივით უკიდეგანო ოცნებაში ჩაგვძირა. თითქოს ვიღაცა უხილავი იდგა ჩვენს გვერდით და გვეჩურჩულებოდა: დონის დაბალ ცისქვეშ გაშლილო შმობლიურო ტრამალო! შენი მიხვეულ-მოხვეული ხევები, ხროკები, წითელი თიხნარი, ხრამები, ვაცისწვერიანი არმარე, ცხენთა ბალახგადავლილი ბუდისებრი ნაფლოქვარები რომ ეტყობა, ბძინული მდუმარებით სავსე ყორღანები დამარხულ კაზაკურ დიდებას ინახავენ... თავს დაბლად ვხრი შენს წინაშე და შვილივით ვკოცნი შენს მიწას, კაზაკთა დაუძაბგავი სისხლით მორწყულო, დონის ტრამალო!..

ჩეხოვის შემდეგ შოლოხოვივით ასე არავის უმღერია რუსული ტრამალისათვის, სადაც გაფთრებულ მტრედისფერ უღრუბლო ცაზე თაკარა მზე და ძერას ნახეკრად გაშლილი ყავისფერი ფოლადისებრი ფრთები მოჩანს... აქლემისფერ, რუხ გახურებულ ბალახს ალმური ასდის, ძერა იხრება, ლაქვარდში მიფრინავს, ბალახზე კი მდუმარედ მიცურავს მისი ჩრდილი.

ძერა რათ გინდათ. როსტოვიდან სტანიცა ვეშენსკაიამდე პატარა ოთხადგილიანი თვითმფრინავები დაფრინავენ და თუ კი ძერს გადახედეს გუნებაზე ხარ, შეამჩნევ, როგორ ფიხდაფეხ აედევნება თვითმფრინავს მიწაზე გართხმული ჩრდილი.

ჩვენი ვარაუდით ვეშენსკაია სულ ასიოდე კილომეტრით უნდა ყოფილიყო როსტოვს დაშორებული და ჩასვლისთანავე მანქანით ვაპირებდით წასვლას. მაგრამ ასის ნაცვლად ოთხას ოთხმოცი კილომეტრი დაგვხვდა გადაქმოული. შეიძლებოდა, რასაკვირველია, მილეროვომდე მატარებლით მგზავრობა და გზის შემოკლება ვეშენსკაიამდე (მერე უკვე მართლა ასი კილომეტრი რჩებოდა სავალი), მაგრამ აეროდრომიდან ტელეფონით დავეკავშირეთ ვეშენსკაიას და გვითხრეს, შოლოხოვი ამერიკაში გამგზავრებასთან დაკავშირებით როსტოვში ამირეს ჩამოსვლას და ტყუილად წამოხვალთო.

როგორც კი გაიგეს, რომ შოლოხოვის სანახავად ვიყავით ჩასული, ადმინისტრატორმა სწორედ ის ნომერი შემოგვთავაზა, სადაც სასტუმრო „მოსკოვსკაიას“ აშენებამდე ჩერდებოდა ხოლმე შოლოხოვი.

როსტოვში რამდენიმე გაზეთი და ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი „დონი“ გამოდის. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ დონსა და შოლოხოვს ვერაფრით ვერ გათიშავ ერთმანეთისაგან. (შოლოხოვი გაგონებს დონს და დონი შოლოხოვს). ამ მიდამოებში ყველაფერი შოლოხოვია სუნთქავს. ხან ასეც ფიქრობს კაცი: შოლოხოვამდე თითქოს არც იყო დონი და მისი უზარმაზარი თხზულებიდან იღებს სათავეს ეს ერთ-ერთი წყალუხვი და ყველაზე წყნარი მდინარე ქვეყნიერებაზე... ჩვენ ვიცოდით, რომ „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნის დიდი ნაწილი ლენინგრადის ჟურნალ „ნევასა“ და როსტოვის „დონში“ ერთდროულად დაიბეჭდა. ისიც ვიცოდით, რომ ჟურნალ „დონის“ რედაქტორია ცნობილი რუსი მწერალი, „ნაპერწკლების“ ავტორი მიხეილ სოკოლოვი, და გადავწყვიტეთ რჩევისათვის მისთვის მიგვმართა. სოკოლოვი რამდენჯერმე ყოფილა საქართველოში, კარგად იცნობს ბევრ ქართველ მწერალს, და მეტად თავაზიანად შეგვხვდა. დახმარებითაც დიდად დაგვეხმარა. რედაქციიდან ვეშენსკაიაში, პირდაპირ შოლოხოვის ბინაზე დაგვარეკინა და ბევრი რამ „საიდუმლოც“ გაგვანდო, თუ რა „პოზიციებიდან“ უნდა დავლაპარაკებოდით.

...არავინ არ იფიქროს, რომ ჩვენ განგებ ვხლართავთ „სათავგადასავლო ჟურნალისტურ ამბავს“ და რა იყო ამდენი სადავდარაბო. ჩვენც ასე გვეგონა პირველად, მაგრამ აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ მწერალი-მოქალაქე, დეპუტატი, აკადემიკოსი, რომელსაც ყოველდღე უთვალავი ურეკავს, რომელსაც ეძახიან ძეობებზე, ქორწილებზე, პლენუმებსა და კრებებზე, რომელიც მეტად გულისხმიერი პაპაა და ერთი ათი წუთით მაინც უნდა შეისხას შვილშვილები მხრებზე, რომელთანაც მიღებაზე რიგში დგანან ჩვენი თუ უცხოელი ჟურნალისტები, რომელიც ფიქრობს სოფლის ახალი ხიდისა თუ გზის გაყვანაზე, კლუბსა თუ ბიბლიოთეკაზე და თან დასამთავრებელი აქვს „გატეხილი ყამირი“ და „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“.

როგორც ყველასათვის ცნობილია, სულ ახლახან მიხეილ შოლოხოვთან სტუმრად იყო თვით ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, რომელმაც მეტად მაღალი შეფასება მისცა მის შემოქმედებას და ამერიკაში მომავალი მგზავრობისას თავისთან მიიწვია. ასე რომ თუ შეიძლება ითქვას, ჩვენ მართლა „კრიტიკულ მომენტში“ მოგვიხდა სტუმრობა და არცთუ უსაბაბოდ ვიყავით შეფიქრიანებული. „ჟურნალისტებისაგან ალბათ თავი აქვს მობეზრებული“, ვფიქრობდით გულში, მაგრამ როგორც შემდეგ მასთან საუბარში გავიგეთ, მიხეილ შოლოხოვი ძველ პრავდისტად თვლის თავს (უკვე ოცდათხუთმეტი წელიწადია, რაც „პრავდაში“ ვიბეჭდებით) და, თუ კი დრო აქვს, მაინცდამაინც „არ უფრთხის“ ჟურნალისტებს. მაგრამ სწორედ დროშია საქმე, და დღეღამეში ათასი საათიც რომ იყოს, ალბათ მაინც არ ეყოფოდა. აკი თვითონაც ხუმრობს: დროის გარდა, ყველაფრით უზრუნველყოფილი ვარო. ერთი სიტყვით, ვინც ოდნავ ახლოს გაეცნობა, მას აღარასოდეს არ მოუვა აზრად, რატომ წერს შოლოხოვი „ნელა“, თუმცა კარგად თქვა ვეშენსკაიაში შოლოხოვთან შეხვედრის დროს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა: „როგორ განვსაზღვროთ, ბევრი დაწერა თუ ცოტა ლიტერატორმა? ეს განისაზღვრება, რა თქმა უნდა, არა ფურცლებისა და წიგნების რაოდენობით, არამედ იმით, თუ რამდენად ღრმად და მკაფიოდ არის ასახული მწერლის ნაწარმოებებში ხალხის მრავალფეროვანი ცხოვრება და საქმეები, კომუნიზმისათვის მისი ბრძოლის სიდიადე“.

ტელეფონის დარეკვის მოლოდინში სოკოლოვმა ბევრი რამ საგულისხმო და გამამხნევებელი გვიამბო. „მიგიღებთ, უეჭველად მიგიღებთ, — გვეუბნებოდა, — გაეხარდება კიდეც, რომ საქართველოდან ხარ. პირადად ჩემთან საუბარში ბევრჯერ ულაპარაკნია საქართველოზე. ბარათაშვილი უყვარს ძალიან“.

რანაირი მჭევრმეტყველებითაც უნდა აღვწეროთ, ალბათ იმას მეალეედსაც ვერ ვიტყვით, თუ რაოდენი სითბო იგრძნობოდა ხმაში, რომელიც ოთხას ოთხმოცი კილომეტრიდან ისმოდა ყურმილში, და რას განვიცდიდით ჩვენ.

„საქართველოდან როსტოვში ჩამოსულხართ და ვეშენსკაიაშიც უნდა ჩამოხვიდეთ, — ამბობდა სიცილარევი ხმა, — რა დროს მიდებაზე ლაპარაკია, როსტოვში უკვე მიღებული ხართ, ახლა ვეშენსკაიაში ჩამოდით...“

2.

ვითმფრინავი ვეშენსკაიას მეზობელი სტანიცის მინდვრებში პატარა საფრენ ველზე ჯდება. აქედან კი ხუთიოდე კილომეტრია სავალი. ოთხასიოდე მეტრის გავლის შემდეგ მგზავრი უკვე ამჩნევს შორს თეთრად მოქათქათე ორ შენობას, ერთი მათგანი შოლოხოვის სახლია.

ვეშენსკაიასა და ბაზკოვსკაიას მიდამოებში დონის ნაპირები სულ მთლიანად ლელიანია, ტირიფიც ბევრია, და შორიდან ორივე სტანიცა მწვანეში ჩაფლული ერთი პატარა ქალაქი გეგონება.

პირველი, რასაც ახლად ჩამოსული კაცი გრძნობს, ის არის, რომ აქ ყველაფერი ნაცნობია, თითქოს ერთხელ უკვე იყავი და აღარ გახსოვს როდის, თითქოს ადამიანებიც გეცნობა, მაგრამ ვერ გიგონებ, სად გინახავს პირველად, და ჩუმად, ძალიან ჩუმად, გესმის ნაცნობი ხმა...

მ. ა. შოლოხოვი თავის ოჯახის წევრებთან.

* * *

რატომ ხედავენ მკითხველები „გატეხილი ყამირის“ გმირთა სახეებში თავიანთ ნაცნობ ადამიანებს, თავიანთ თანასოფლელებსა და თანასტანიცელებს! რატომ ხედავენ დონზე მომხდარ ამბებში ტამბოვშჩინაში თუ ურალზე, ვოლგისპირეთსა თუ სმოლენშჩინაში გადატანილ ჭირსა და ლხინს? რატომ აღელვებთ „წყნარი დონის“ გმირთა ბედ-იღბალი დედამიწის ყოველ კუთხეში?

პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება. შოლოხოვი ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით, როგორც ჭეშმარიტი მწერალი — მოქალაქე, ღრმად განიცდის მის წინსვლასა თუ მარცხს და თავისი ძალუმი ნიჭით ცხოვრების კონკრეტული მოვლენები დიდი მხატვრული განზოგადების სიმაღლეზე აჰყავს.

3.

იხეილ შოლოხოვის სახლი დონს სწორედ იმ ადგილას გადაჰყურებს, სადაც მდინარე ორად იტოტება და კარგა მოზრდილ ტყიან კუნძულს წარმოქმნის. დონის ორივე ნაპირზე უამრავი ნავია მიბმული. შორს ტრამალში კი პატარა სამლოცველო მოჩანს, და უნებურად გაგონდება მწერლის მიერ დახატული საოცარი სურათი... მოხუცი წავიდა. ტრამალზე დარჩა სამლოცველო და თავისი მუდმივი ნაღვლიანი გარეგნობით გამლელ-გამომვლელის გულში გაურკვეველ დარდს აღვიძებდა.

აი დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი სტანიცა ვეშენსკაიაც, მახლობელი და საყვარელი, როგორც იასნაია პოლიანა და ყვარელი, როგორც მიხაილოვსკოე და ჩარგალი...

აქ დღეს აშვიათად თუ შეხვდებით ფორმიან კაზაკებს ან კაზაკ ქალებს, რომელთაც შავი გრძელი ქვედატანი ეცვათ თოვლივით თეთრი არშიამოვლებული წინსაფრით... სულ სხვა ცხოვრებაა დღეს აქ. ვეშენსკაია ხომ თავად ლამაზ ადგილას არის გაშენებული, თანაც კეთილმოწყობილია და ერთობ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. არც პატარაა, წარმოიდგინეთ. ხუთი ათასზე მეტი კომლი ცხოვრობს... შოლოხოვის სახლი კი სტანიცის მისადგომშია. დონზე გადებულ ხიდს რომ გადახვალ, გინდა გზას გაჰყვები და გინდა უფრო მოკლეზე წახვალ, დონის ნაპირ-ნაპირ ივლი ქვიშიან ბილიკით, ორივ ერთ პატარა აღმართს დაჰ მწვანედ შეღებილ დაბალ კარიბჭეს მიადგები. გაზაფხულობით კი თურმე ნურას უკაცრავად, დონი კალაპოტში ვეღარ ეტევა და უჩინარდებიან ნაპირ-ნაპირ გატკეპნილი პატარა ბილიკები. პირველი, რასაც თავისდაუნებურად იფიქრებს შოლოხოვთან სტუმრად ჩასული კაცი, ერთადერთი რამ არის: აქ კი უნდა დაწეროს მართლა ადამიანმა. ან არა და: აქ დაწერს, აბა რა იქნება!.. თუმცა შოლოხოვის გარდა სტანიცა ვეშენსკაიაში „წყნარი დონი“ არავის არ დაუწერია, და არც იასნაია პოლიანაში დაუწერია ვინმეს ტოლსტოის გარდა „ომი და მშვიდობა“ ან ჩარგალში ვაჟას გარდა — „გველის ნაჭამელი...“

— მობრძანდით, მობრძანდით, ძვირფასო ქართველებო, — ღიმილით გვეპატიჟება საყვარელი მწერალი, — იმდენი ქენით, რომ მაინც ჩამოხვედით, ჰა?! ამ ამინდში აქ ჩამოსვლა მართლა ვაჟკაცობაა... ამ ვაჟკაცობისათვის კაზაკებში ჩამირიცხავხართ, დღეიდან ვიოშკელი კაზაკები ხართ! აბა, აქეთ მობრძანდით, კაზაკებო... ცოტაც და გაგასწრებდით ამერიკაში...

სამუშაო ოთახი კარგა მოზრდილი და ნათელია. საწერ მაგიდაზე უამრავი ხელნაწერი და წერილი აწყვია. იატაკზე უშველებელი დათვის ტყავია გაფენილი. იმ წუთას ვერ ვკითხეთ; მერე კი დაგვავიწყდა გვეკითხა როდის და სად ჰყავდა ის დათვი მოკლული (მიხეილ ალექსანდრეს-ძე ხომ თავგამოდებული მონადირეა!).

საერთოდ, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენ მეტად ოფიციალურ მიღებას ველოდით და ამიტომ კითხვები წინასწარ მომზადებული გვქონდა: რას ფიქრობთ ამერიკაში გამგზავრებაზე, რაზე მუშაობდით ამ ბოლო დროს, რის დაწერას აპირებთ მომავალში და ჩამოხვალთ თუ არა საქართველოში? მაგრამ ზვიადი და ამდენი საქმისაგან თავმობეზრებული კაცის ნაცვლად დაგვიხვდა მეტად უბრალო, სათნო, კეთილი და გულღია ადამიანი, რომელსაც შეიძლება მხოლოდ ესაუბრო, ესაუბრო როგორც ტოლი ტოლს, სწორი სწორს და არავითარ შემთხვევაში კითხვა-პასუხის წესით...

ჩვენ, რომ იტყვიან, თავი დაგვავიწყა მისმა გულგაშლილმა მასპინძლობამ. მის აციაგებულ ჭკვიან თვალებში შევნიშნეთ ის დიდი სიყვარული და კეთილშობილება, ურომლისოდაც ძნელია სტუმრისათვის მასპინძლის სახლის ზღურბლზე გადაბიჯება. მისი მაღალი ნათელი მასპინძლური შუბლი მხნეობას გმატებდა, ის გვატყობდა, რომ ვღელავდით, და თვითონ ამბობდა საუბარს თავს: „ხომ კარგად იმგზავრეთ? დაღლილები კი იქნებით ალბათ! ვეშენსკაიაში ქართველები კარგა ხანია არ ყოფილან. სულ პირველად, ამ ოცდაოთხი წლის წინათ კოლია შენგელაია იყო ვეშენსკაიაში. გუშინდელ დღესავით მახსოვს მისი ჩამოსვლა...

უკვე გვიანი იყო. შეიძლება მუშაობაც უნდოდა და ჩვენ ვართმევდით ძვირფას დროს, მაგრამ ერთი წუთითაც არ გვიგრძვნია, რომ ზედმეტი ვიყავით. გადავწყვიტეთ დიდხანს მაინც არ შეგვეწუხებინა... დიდად გვესიამოვნა, რომ ჩვენი მიტანილი საჩუქარი — აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის „ქართული ოქრომჭედლობა“ მოეწონა და გახარებულიც დარჩა, „დიდი, უაღრესი, გულითადი მადლობა ყურადღებისა და პატივისცემისათვისო...“

მიხეილ შოლოხოვთან პირველად შეხვედრისას ადამიანი უეჭველად შენიშნავს მისი ხასიათის ერთ-ერთ მთავარ თვისებას — გულწრფელობასა და უშუალობას. ამ დიდ ადამიანურ სიმართლეშია სწორედ მისი პიროვნებისა და რომანების სიდიადეც.

იმ საღამოს დიდხანს აღარ შეგვიწუხებია. მართალია, ბევრი ვერაფრის თქმა მოვასწარით, მაგრამ მაინც წასასვლელად წამოვდექით. ჯერ გვთხოვა ბინათ მასთან დავრჩენილიყავით, მაგრამ როგორ შევაწუხებდით, თანაც უკვე ვეშენსკაიას „კოლმეურნის სახლში“ ვიყავით მოწყობილი. მერე კი პირობა ჩამოგვართვა, რომ დილის რვა საათზე საუზმეზე ვეწვეოდით... მასთან საუბრის დროს ძნელია ბლოკნოტის ამოღება და ჩაწერა. ძნელიო, განა გაგინაწყენდება! არა. მას არ შეუძლია აზრები გიკარნახოს, ის გულმართალი, უბრალო მოსაუბრეა და როცა გელაპარაკება, ყურადღებით უნდა უსმინო.

4.

ეორე დილით თავად გამოგვეგება ეზოში. სანამ სასაუზმედ დავსხდებოდით, კვლავ საუბარს შევეკვეთ. ჩვენ ვუთხარით, რომ ვეშენსკაიას მეტად ლამაზი ადგილმდებარეობა აქვს.

— ქათინაურებს ხომ არ მეუბნებით? — იღიმება მწერალი,—თქვენ თვითმფრინავით ჩამოხვედით და ბევრი კარგი რამ მართლა არ გინახავთ. დონს რომ აღმა ამოჰყოლოდით, უეჭველად შეამჩნევდით, როგორ თანდათან ლამაზდება პეიზაჟი. ტრამალებიც ლამაზია, მაგრამ დონის პეიზაჟი მაინც სულ სხვაა. თუმცა ქართველებს რა ბუნების სილამაზე გაგაკვირვებთ?

სულ არ ბრძანებულხართ საქართველოში? — ჩვენდაუნებურად შეეკითხეთ.

—არა, და ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია. ამდენს საზღვარგარეთ დავდიავარ და საქართველოში კი არ ვყოფილვარ. ომამდე ვერ მომიხერხდა. „წყნარმა დონმა“ გადამიყოლა. ორმოცდაოთხში კი მოთხრობა „სიძულვილის მეცნიერება“ რომ დავწერე, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა დამიბარა და მითხრა, წადი, საქართველოში დაისვენეო, მაგრამ ვერც მაშინ მოვახერხე წამოსვლა...

შოლოხოვი ცოტა ხანს დაფიქრებული იჯდა, მერე თითქოს რაღაცა მოაგონდაო, თქვა: „გვიან არც ახლაა. სიტყვა სიტყვაა — დავბრუნდები თუ არა ამერიკიდან, უეჭველად ჩამოვალ საქართველოში. ასე დეკემბრის ბოლოსათვის..., „ჩამოვალ და თქვენი სტუმარი ვიქნები“...

შეგვატყო თუ არა, შეკავებული სიხარული, ხუმრობით დაუმატა, მე შოლოხოვი კი არა, შოლოხაშვილი ვარო...

ჩვენ ვუთხარით, რომ საქართველოში იგი ძალიან უყვართ. „წყნარი დონის“ უკვე სამი წიგნია გამოცემული და მეოთხეც მალე გამოვა. „გატეხილი ყამირის“ პირველი წიგნი თითქმის რუსულად გამოცემისთანავე ითარგმნა. ხოლო მოთხრობა „ბედი კაცისა“ ახლახან გამოიცა ცალკე წიგნად, ადრე კი ჟურნალ „ძნათობში“ დაიბეჭდა. „მთელი ქართველი ხალხი იქნება თქვენი მასპინძელი“, — ვუთხარით ჩვენ. ის ცმაყოფილი იჯდა, ხან თავზე გადაისვამდა ხოლმე ხელს და ყოველ ჩვენს სიტყვაზე „გმადლობთ, გმადლობთო“, ამბობდა. მერე ნელა, ჩუმი ხმით დაიწყო:

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს
სიყრმიდგან ვეტრფოდი...

თვალებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოკრთის სიამით.

ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს...

სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცვას —
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცასს..

ჩვენზე, საბჭოთა მწერლებზე, ცოფმორეული მტრები საზღვარგარეთ ამბობენ, თითქოს ჩვენ ვწერდეთ პარტიის კარნახით. საქმე ცოტა სხვანაირად არის: ყოველი ჩვენგანი წერს საკუთარი გულის კარნახით, ხოლო ჩვენი გული ეკუთვნის პარტიასა და მშობლიურ ხალხს, რომლებსაც ჩვენ ვემსახურებით ჩვენი ხელოვნებით.

მ. შოლოხოვი.

ბარათაშვილი! მარტო „ცისა ფერს“ კი არა, მიხეილ ალექსანდრეს-ძემ მართლაც თითქმის ზეპირად იცის ბარათაშვილი. დიდ პატივს სცემს ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძეს კი პირადად იცნობდა...

ჩვენ კიდევ ერთი რამ შევნიშნეთ, ამ ეჭეშმარიტად დიდი ბუნების კაცს: ბავშვივით უჩვეულებს გულს ნამდვილი სიყვარული...

* * *

საუზმე საუზმეა, მაგრამ სუფრა, რომელიც მეორე ოთახში გაეშალათ, სულ არ ჰგავდა ორი კაცის დასახვედრად გაშლილ სუფრას. ოთახში ცხვრის მწვადის სუნი ტრიალებდა (მიხეილ ალექსანდრეს-ძე ბოდიშს იხდიდა, მწვადი კი შეეწვით, მაგრამ ქართულ მწვადს მაინც ვერ დავამსგავსეთო), მაგიდაზე ნაირნაირი დონური ღვინოები ეწყო. შეიძლება ეს მეტად ინტიმური ამბავია და არც იყო საჭირო ამაზე წერა, მაგრამ ჩვენ ამ ამბავშიც თვით მწერლის უადგილად დიდი ადამიანური გულისხმიერება დავინახეთ: მას არ შეუძლია გაგიღიმოს და გულში არ ჩაგიკრას, ან მთლიანად არ გადაგიშალოს გული. მას არ ეხერხება დიდი მიღება და „პატარა პატივისცემა“, ის ყველაფერში უხვია — საუბრის დროს თუ სუფრაზე. მას უნდა დაგავიწყოს, რომ დიდ მწერალთან მოსულხარ სტუმრად და შეიძლება მისთვის ყველაზე ძვირფას დროს აკარგვინებ...

— თქვენ ღვინოებთან ვერ მოვა, მაგრამ დონურიც გავსინჯოთ,— ამბობს შოლოხოვი, — პირველი სადღეგრძელოთი, თქვენს მოსვლას გაუმარჯოს, სიცოცხლეს გაუმარჯოს, მშვიდობას გაუმარჯოს, რომ ადამიანები ასე მივიდნენ და მოვიდნენ ერთმანეთში. აი ჩავალთ ახლა ამერიკაში და ვეტყვით ამერიკელებს: ასე მივიდეთ და მოვიდეთ ერთმანეთში. საომარი და საჩხუბარი რა გვაქვს, ცხოვრება მაინც თავის გზით მიდის და ყველას თავის მისაგებელს მიაგებს. ზარბაზნის სროლას განა არა სჯობს ერთმანეთის წიგნები გამოვცეთ და გამოფენები მოვაწყოთ, გავაცნოთ ჩვენი ხალხები ერთმანეთს? ამაზე გაქონდა ლაპარაკი სწორედ მე და ნიკიტა სერგის-ძეს, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს ქვეყნად მშვიდობის შესანარჩუნებლად... რაღა დარჩა, თხუთმეტს უკვე ამერიკაში ვიქნებით. ამხანაგი ხრუშჩოვი შეხვდება პრეზიდენტ ეიზენჰაუერს და უნდა საბოლოოდ გაიწმინდოს ჰაერი...

სუფრაზე ჩვენს გარდა შოლოხოვის უმცროსი ქალიშვილი, მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი მაშა და მისი მეუღლეც ისხდნენ. შოლოხოვის პატარა შვილიშვილი კი გვერდით ოთახში დაცუცუნებდა, ღია კარიდან ჩანდა, როგორ დასტრიალებდა იგი კუბიკებით აშენებულ წოწოლა სახლს და ჩვენ მშვიდობისა და სიცოცხლის სადღეგრძელოს ვსვამდით...

წამოსვლის წინ აღარ ვიცოდით, როგორ გადაგვეხადა მადლობა და მხოლოდ იმას ვთხოვდით, რომ უეჭველად ჩამოსულიყო საქართველოში. „სიტყვა სიტყვაა“ — კვლავ გაგვიმეორა შოლოხოვმა, და ერთი წუთით ბოდიში მოიხადა... თავის სამუშაო ოთახში გავიდა. პატარა სახელდახელო ბარათი დაწერა და გამოგვიტანა:

„გულითადი სალამი მშობლიურ ქართველ ხალხს, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს. მალე შეხვედრამდე.

თქვენი მ. შოლოხოვი

7. 9. 59 წ.
სტანიცა ვეშენსკაია“.

თანაც გვითხრა, რომ როგორც კი „გატეხილი ყამირის“ ბოლო თავებს დაასრულებს, უეჭველად გამოგზავნის ჩვენს გაზეთში დასაბეჭდად, ან შეიძლება სხვა რამეც გამოგიგზავნოთო. მერე თხელ ჭიღარა თმაზე ხელი გადაისვა და ღიმილით დაგვყოლა: „გზა მშვიდობისა, კაზაკებო!“

მზე უკვე მომაღლებულიყო ცაზე და ოქროსფერი იყო დონი, რომელსაც აღმა მიაპობდა ხომალდი „მიხეილ შოლოხოვი“, ჩვენც გზა მშვიდობისა ვუსურვეთ ხომალდს...

მას მერე უკვე ოთხი-ხუთი დღეა. ორ-სამ დღეში საბჭოთა მთავრობის მეთაური ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი გაემგზავრება ამერიკაში პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან შესახვედრად. ამხანაგ ხრუშჩოვთან ერთად ამერიკაში წავა მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვიც, კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე სიყვარულისა და ბედნიერების სიმღერას მოანდომა, და ჩვენ გვინდა გულით ვუსურვოთ, როგორც დონზე იმ აღმა მიმავალ ხომალდს:

გზა მშვიდობისა,
გზა მშვიდობისა!..

გურამ გოგიაშვილი,
ოთარ არაგელიძე.

სტანიცა ვეშენსკაია.
სექტემბერი.



სტანიცა ვეშენსკაია დღეს

შესანიშნავი ცხოვრების ფურცლები...

შოლოხოვისადმი მიძღვნილი ფოტოალბომი

მიხეილ შოლოხოვი მთელი საბჭოთა ხალხის საყვარელი მწერალია. მილიონობით მკითხველი უურადღებით ადევნებს თვალყურს მის შემოქმედებით შრომას, ყურს უგდებს მის ხმას, რომელიც მთელი მსოფლიოს გასაგონად ისმის წყნარი დონის ნაპირებიდან...

მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვის ცხოვრება მრავალ და მრავალ ადამიანს აინტერესებს. ამიტომ მისი რომანებისა და მოთხრობების მკითხველები დიდი ინტერესით გადაშლიან მწერლისადმი მიძღვნილ ფოტოალბომს, რომელიც ახლახან როსტოვში გამოიცა.

ფოტოალბომი შედგენილია როსტოველი მწერლის ა. ბახარევის მიერ. ა. ბახარევს გულმოდგინედ შეურჩევია სხვადასხვა ფოტორეპორტიორის მიერ სხვადასხვა დროს გადაღებული მრავალი ფოტოსურათი: შოლოხოვი თავის სამუშაო ოთახში, შოლოხოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ შოლოხოვს ნადირობის, თევზაობისა და ბოსტანში მუშაობის დროს.



გაზეთ „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი, აკადემიკოსი, კომუნისტური პარტიის XVIII, XIX, XX და XXI ყრილობების დელეგატი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი, შოლოხოვი სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებთან, სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკებთან, ტაგანროგელ მეტალურგებთან... ყოველივე ამაზე მოკლედ, მაგრამ ნათლად მოგვითხრობენ ალბომში მოთავსებული იშვიათი ფოტოსურათები.

საოცარი სიამაყისა და სიყვარულის გრძნობა იპყრობს კაცს, როცა ამთავრებს ამ მეტად მრავლისმთქმელი ალბომის დათვალიერებას. თუმცა ამ სურათებზე აღბეჭდილია მიხეილ შოლოხოვის შესანიშნავი ცხოვრების მხოლოდ მცირედი ნაწილი, მაგრამ ისიც ბევრს ეუბნება ჩვენს გულს სიყვარულისა და სიამაყის გრძნობით სავსეს...

• • •

სურათზე: ვეშენსკაია. აი სახლი, სადაც ცხოვრობს და მუშაობს მ. ა. შოლოხოვი თავის რომან „გატეხილი ყამირის“ უკანასკნელ თავებზე.

ქართული მარკით

ჩვენი რესპუბლიკის ეთერზეთების ქარხნებმა უკვე დაიწყეს ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის დამზადება და გადამუშავება. მარნეულის ეთეროვანი ზეთების ქარხანამ გადამამუშავა რამდენიმე ასეული ტონა ევგენოლური რეჰანის ნედლეული და მიიღო ერთ ტონაზე მეტი ეთეროვანი ზეთი. ლაგოდეხის, ყვარლის და თელავის ქარხნების კოლექტივები ახლახან ამუშავებენ გერანისა და ევგენოლური რეჰანის ნედლეულს. ამ დღეებში დასავლეთ საქართველოს ქარხნებიც შეუდგებიან გადამუშავებას. ბევრ ადგილას ამ ძვირფასი კულტურების დიდ მოსავალს ელიან.

წელს რესპუბლიკის ქარხნები გადაამუშავებენ 18.000 ტონა სხვადასხვა ეთერზეთოვან კულტურათა ნედლეულს და მიიღებენ 37 ტონაზე მეტ ძვირფას ზეთს.

თბილისში შენდება უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საპარფიუმერიო ფაბრიკა. ამით ჩვენს რესპუბლიკაში საფუძველი ეყრება ამ დარგის წარმოებას. მშენებლობასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი ეთერზეთოვანი მცენარეების დანერგვას ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში 1959-1960 წლებში სამრეწველო მიზნით გაშენდება ისეთი

საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებზე

კულტურები, როგორიც არის ია, ბიგარადია, (მწარე ფორთოხალი), ტუბეროზა, ზამბახი და სხვ.

საქართველოს ეთეროვანი ზეთები — კერძოდ ფასმინის, გერანის, ევგენოლური რეჰანისა და ვარდის პროდუქცია ხარისხით მსოფლიოში განთქმულ ეთეროვან ზეთებს არ ჩამოუვარდება. საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე ჩვენი რესპუბლიკიდან თითქმის ყოველთვის იგზავნება ეთეროვანი ზეთების ექსპონატები. ამ უკანასკნელ ხანს ისინი გაიგზავნა ლაიპციგში, ბრნოში, ბრიუსელში და სხვ. რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ივლისის ბოლო რიცხვებში საფრანგეთის ქალაქ გრასში მოეწყო ეთეროვანი ზეთების მეორე კონგრესი. კონგრესში მონაწილეობდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, სადაც განვითარებულია ამ დარგის მრეწველობა. საბჭოთა კავშირიდან ამ კონგრესში მონაწილეობდნენ „საქცხიმეერზეთის“ ტრესტის მმართველის მოადგილე ნ. იაკობაშვილი და მოსკოვის ეთერზეთების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ვ. კრასოვა. კონგრესმა სხვებთან ერთად მოისმინა ნ. იაკობაშვილის მოხსენება თემაზე: „ეთერზეთების წარმოება სსრ კავშირში და მათი შემადგენლობა“. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. დელეგატები დაინტერესდნენ ჩვენში ამ საკითხის დაყენებით, კერძოდ ფასმინის ყვავილებიდან ეთერზეთის მიღების დინამიკური სორციის მეთოდით, განუწყვეტელი მოქმედების აპარატებით და სხვ.

დელეგაცია გაეცნო საფრანგეთში ეთერზეთების წარმოებას და ეთერზეთოვანი კულტურის მოყვანის საქმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანასა და გადამუშავებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამიტომ მათი წარმოება იქ შედარებით კარგად არის დაყენებული. კულტურათა ასორტიმენტი შერჩეულია იმგვარად, რომ ქარხნები დატვირთულია მთელი წლის განმავლობაში. ზოგიერთი ეთერზეთოვანი ნედლეულის გადამუშავების მეთოდები, რომლებიც დღეისათვის მიღებულია საფრანგეთში, რომლებსაც კონგრესის მონაწილენი გაეცნენ, უახლოეს ხანში დაინერგება ჩვენს საპარფიუმერიო მრეწველობაში.

განიარაღების პრობლემების გადაჭრის გზები

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომა, რომელიც მოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დ. ჰამარშელდმა სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა თხოვნით.

ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა კომისიის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია მათ მიერ ჟენევაში გამართული მოლაპარაკების შესახებ, რომლის მსვლელობაში მიღწეულ იქნა შეთანხმება დაარსდეს განიარაღების კომიტეტი სსრ კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ბულგარეთის, იტალიის, კანადის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა შემადგენლობით. მათ აღნიშნეს, რომ მათ მთავრობებს ეს კომიტეტი მიაჩნიათ სასარგებლო საშუალებად იმისათვის, რომ ურთიერთ კონსულტაციებით გამოავლინონ შესაძლო პროგრესის გზები ისეთ შეთანხმებათა და რეკომენდაციათა მისაღწევად ყველა ტიპის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში, რომლებიც შეიძლება პირველ რიგში უშუალოდ ეხებოდეს ამ საკითხის განხილვის მონაწილე ქვეყნებს. ამავე დროს მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ასეთი კომიტეტის შექმნა არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პასუხისმგებლობას ამ დარგში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა თავის გამოსვლაში განაცხადა, კერძოდ, რომ, საბჭოთა კავშირის აზრით, განიარაღების ახალი კომიტეტის მუშაობა შესაძლებელს გახდის გამოვლინდეს შესაძლო პროგრესის გზები შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის პრობლემის გადაჭრის მიმართულებით. საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა მან, თავის მხრივ გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზე დამოკიდებული, რათა დადონისძიებანი ამ გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემის ურთიერთმისაღები გადაჭრა.

ინდოეთის, იაპონიის, ერაყის, კუბის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დიდი სახელმწიფოების ინიციატივას განიარაღების პრობლემის გადაჭრის გზების გამოძებნის მიმართულებით.

ინდოეთის წარმომადგენელმა თავისი ქვეყნის, აგრეთვე ინდონეზიის, ირლანდიის, იუგოსლავიის, ცეილონის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ეკვადორის სახელით წარადგინა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც განიარაღების კომისია „წინადადებას აძლევს გენერალურ მდივანს უზრუნველყოს შესაბამისი შესაძლებლობანი დასახული კონსულტაციების განსახორციელებლად; რეკომენდაციას აძლევს გენერალურ ასამბლეას განაგრძოს განიარაღების კომისიის არსებობა ვადა, როგორც ეს აღნიშნულია გენერალური ასამბლეის XIII სესიის მიერ მიღებულ რეზოლუციაში განიარაღების შესახებ, და მოიწვიოს იგი ყოველთვის, როცა ამას საჭიროება მოითხოვს“. ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

ლაოსის ამგეგი

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი (საკდესი). ჟურნალი „ნიუსუიკი“ იუწყება, რომ სამხრეთ ვიეტნამის პრეზიდენტმა ნგო დინ დიემმა, შესაძლოა წამოაყენოს წინადადება თავისი ჯარების გაგზავნის შესახებ ლაოსში.

„ნუ გიგიკვირდებათ, — წერს ჟურნალი, — თუ დაინახავთ, რომ შეერთებული შტატების მიერ გაწვრთნილი სამხრეთ ვიეტნამის ჯარები დაიწყებენ მოქმედებას ლაოსში“.

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაზეთოს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ შეერთებულმა შტატებმა ლაოსში გაგზავნეს 8 თვითმფრინავი, რომელსაც აქვთ შეიარაღება, მათ შორის თოფები და გრანატები და სხვა სამხედრო საჭურველი.

ქ. ი. სიხარულიძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული საბჭოთა პრესის გამოცდილი მუშაკი კირლო ილიას-ძე (ილარიონის-ძე) სიხარულიძე.

ამხ. კ. სიხარულიძე დაიბადა 1909 წელს ჩოხატაურის რაიონის ს. ბუკისციხეში. 1926 წელს თბილისში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შრომითს საქმიანობას ეწევა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. 1929 წელს მოხალისედ მიდის წითელი არმიის რიგებში. 1931-1936 წლებში პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისში, ამავე პერიოდში ამთავრებს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტს. 1937 წლიდან 1939 წლამდე ამხ. კ. სიხარულიძე მუშაობდა გარეუბნის რაიონული გაზეთის რედაქტორად, შემდეგ კი — პარტიის თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიონული კომიტეტის მდივნად.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებიდან 1948 წლამდე ამხ. კ. სიხარულიძე იმყოფება საბჭოთა არმიის რიგებში — სამხედრო კომისრის, პოლკის პარტორგის, დივიზიის გაზეთის რედაქტორის თანამდებობებზე.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებისთანავე ამხ. კ. სიხარულიძე კვლავ იწყებს მუშაობას ქართული გაზეთების რედაქციებში — „კომუნისტში“ და „გამარჯვებაში“. ბოლო წლებში იგი მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის წერილების განყოფილების გამგედ და ამასთან ერთად არჩეული იყო რედაქციის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნად.

ამხ. კ. სიხარულიძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1930 წლიდან.

ამხ. კ. სიხარულიძე იყო ენერგიული, პრინციპული მუშაკი, გულისხმიერი ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ამხანაგებისა და თანამოსაკმეველების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი

ბლეიდი, 11 სექტემბერი. (საკდესი). პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის მესამე ტურში ხუთი საათის თამაშის შემდეგ ყველა პარტია აღმოჩნდა გადადებული. ტურნირის ლიდერმა პეტროსიანმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, ინგლისური დაწყება აირჩია სმისლოვის წინააღმდეგ. მსოფლიო ექს-ჩემპიონმა თავი აარიდა ჩვეულებრივ ვარიანტს და განხორციელა განვითარების ორიგინალური გეგმა. ენდშპილში, როცა მოწინააღმდეგეს მხოლოდ ორ-ორი მხედარი და შვიდ-შვიდი პაიკი დარჩათ, სმისლოვმა გარკვეულ პოზიციურ უპირატესობას მიაღწია.

მწვავეთ ვითარდებოდა კერეს-ტალის პარტია. 29-ე სვლაზე ტალმა შესწორა ფიგურა და იერიში მიიტანა თეთრების მეფეზე. კერესი ოსტატურად იცავდა თავს. პარტია გადაიდო ენდშპილში, სადაც ტალს სამი პაიკი აქვს ფიგურის სანაცვლოდ. ბენკო-ფიშერის პარტიაში თეთრები ინარჩუნებენ პოზიციურ უპირატესობას.

მშვიდად მიმდინარეობდა გლიგორიჩ-ოლაფსონის შეხვედრა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პარტია ყაიმით დამთავრდება. დღეს გაიმართება მე-4 ტური.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1959 წლის 22 სექტემბერს, დღის 12 საათზე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ანდრია ფილიპეს-ძე ავალიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ფეოდალური საქართველოს ფეოდალური ქალაქი არქეოლოგიურ აღმოჩენათა მიხედვით“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

რადიო

12 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.00 ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტის“ მიმოხილვა, 11.15 — კონცერტი, 11.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.15—პიესები გიტარისათვის, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა უვერტიურები, 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „ზღაპარი დაკარგულ დროზე“, 18.05 — ბ. კვერნაძე. ნაწყვეტები კინოფილმიდან „განაჩენი“, 18.45 — ნეაპოლიტანური სიმღერები, 19.15 — ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 20.20 — გადაცემა ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ მიმოხილვა, 20.35 — შუსაკი კინოფილმებიდან 21.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „საწყალ-მოვებიდან მოვიდნენ“, 21.15 — ბ. ალექსეიშვილის კონცერტი, 21.30 — კონსერტატორიის გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლიტერატურული გადაცემა, 22.30 — პოლონური მსუბუქი მუსიკის კონცერტი.

ტელევიზია

12 სექტემბერი

19.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ბავშვთა კულტურის კლუბის გახსნის წინ“, 20.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.30 — ქართული ხალხური სიმღერების კონცერტი, 20.55 — უკანასკნელი ცნობები, 21.05 — ახალი მხატვრული ფილმი — „გოგონა ეძებს მამას“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42. გამომძგების — 3-06-88.

უე 06903 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2

დ. ეიზენჰაუერის გამოსვლა

ვაშინგტონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით. მისი გამოსვლა მიეძღვნა დასავლეთ ევროპაში მოგზაურობას, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებთან მოლაპარაკების შედეგად დადასტურდა „ჩვენი ერთიანობა ძირითად საკითხებში და ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციისათვის მხარდაჭერაში“.

„ჩვენ მტკიცედ გადაწყვეტეთ,—თქვა პრეზიდენტმა, — რომ არ მოხდება არაფითარი გადახვევა ძირითადი მიზნებისაგან, რომელთა მიღწევა ჩვენ კოლექტიურად ვიკისრეთ. ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ თავდაცვითი ძალები, რომლებიც საჭიროა ჩვენი საერთო უშიშროების შესანარჩუნებლად კვლავაც უნდა დარჩეს“. ეიზენჰაუერმა ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთ ევრომაში მოლაპარაკება მნიშვნელოვანწილად თავმოყრილი იყო ნატოს გარშემო.

„ჩვენ განვიხილეთ აგრეთვე ჩვენი საუბრების დროს მზარდი პრობლემები, რომლებიც ისახება სუსტადგანვითარებული ანდა მსოფლიოს სულ ახლახან შემქნილი ქვეყნების წინაშე, — განაცხადა პრეზიდენტმა. — მილიარდზე მეტი ადამიანი, რომელთაც ეს სჭირდებათ, მოითხოვს ნამდვილ ცვლილებებს განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ცხოვრების დონის დარგში. მათ შორის შესამჩნევია სავსებით გასაგები მღელვარება — ღრმა უკმაყოფილება მათი აბლანდელი ხვედრის გამო და სულ უფრო მზარდი მტკიცე გადაწყვეტილება გაუუმჯობესონ ბედი. მათ დიდი ტექნიკური დახმარება უნდა გაეწიოს ყველა დარგში, უნდა მიეცეთ მეტი კაპიტალდაბანდება და უფრო ფართო შესაძლებლობანი ვაჭრობის დარგში“.

როგორც შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, მან ბონში, პარიზსა. და ლონდონში საუბრების დროს თქვა, რომ ამერიკა „შეშფოთებულია კომუნისტების მოქმედების გამო აზიაში“. ეიზენჰაუერმა კმაყოფილება გამოთქვა უშიშროების საბჭოს იმ გადაწყვეტილების გამო, რომ შეიქმნას ლაოსის საკითხთა ქვეკომიტეტი.

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამოსელის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამას წინათ, განაცხადა, კერძოდ პრეზიდენტმა, ჩვენ ვიზიტი გაგვიკეთა საბჭოთა მთავრობის ორმა მაღალი თანამდებობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა — ბ-ნმა მიკოიანმა და ბ-ნმა კოზლოვმა. კარგია, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურს შეუძლია ახლა ამერიკის შესახებ საკუთარი წარმოდგენა იქონიოს პირველწყაროდან. შემდეგ პრეზიდენტმა თქვა:

„მე განვუცხადე ჩვენს მოკავშირეებს კერძო საუბრებში, როგორც ამას სხვა შემთხვევებში საჯაროდ გვრეკბოდი, რომ ჩემს მიერ ბ-ნ ხრუშჩოვის მოწვევა არ ითვალისწინებს მხოლოდ ცერემონიალურ ვიზიტს, ისევე როგორც იგი არ გულისხმობს გარკვეული მოლაპარაკების წარმოების განზრახვას. მაგრამ იგი გულისხმობს იმ იმედს, რომ სერიოზულ წინასწარ ღონისძიებებს შეუძლიათ გამოავლინონ პრაქტიკული პროგრესის ახალი შესაძლებლობანი საერთაშორისო დაძაბულობის ზოგიერთი მიზეზის აღმოფხვრის გზაზე.

თავმჯდომარე ხრუშჩოვთან საუბრების დროს არ იქნება რაიმე მოლაპარაკება იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ ეხება ჩვენი მოკავშირეების ან თავისუფალი სამყაროს რომელიმე სხვა ნაწილის ინტერესებს“.

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამოთქვა რწმენა, რომ ამერიკელი ხალხი ბ-ნ ხრუშჩოვისა და მის თანამგზავრებს შეხვდება ტრადიციული ამერიკული ზრდილობითა და ღირსებით. „ჩვენ არ შეგვიძლია, რომ მას ისევივე პატივისცემა არ გავუწოოთ, როგორიც საბჭოთა საზოგადოებრიობამ გაუწია ვიცე-პრეზიდენტსა და ქ-ნ ნიქსონს“.

განაცხადა რა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრის დროს განიხილეს უმაღლესი დონის თათბირის შესაძლებლობის საკითხი, ეიზენჰაუერმა თქვა:

„საერთაშორისო ლიდერების წინაშე უმნიშვნელოვანესი არჩევანია. წარსულში კონფერენციებს ძალიან ხშირად ახასიათებდა ეჭვები, მუქარა, ჯიუტი ცრურწმენები, და შედეგები უნაყოფო და უიმედო იყო.

მაგრამ რომ შეიძლებოდეს ურთიერთნდობის და მიზნისადმი სერიოზული მისწრაფების უკეთესი ატმოსფეროს შექმნა, შესაძლებელი იქნებოდა განახლებული იმედით შევდგომოდით იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ჩვენ გვთიშავს. თუ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს აქვს კონსტრუქციული იდეები და წინადადებანი, რომლებსაც შეუძლიათ უზარუნველჰყონ საფუძველი ჩვენი გამთიშავი საკითხების შესახებ საპასუხისმგებლო მოლაპარაკებისათვის, ჩვენ მოგესალმებით ჩვენს მოკავშირეებთან ერთად მათი შესწავლის შესაძლებლობას.

მხურვალედ ვიმედოვნებ, რომ ვიზიტს მოჰყვება რაიმე რეალური პროგრესი, თუმცა ვერავინ ვერ გაბედავდა ეწინასწარმეტყველებინა ასეთი შედეგი“.

რადიოთი და ტელევიზიით

ჩვენ მზად ვართ ნამდვილი დასაბამი მივცეთ გათიშული გერმანიის პრობლემის გადაჭრას.

ჩვენ იმედი გვაქვს მოვაწყოთ უფრო ფართო კონტაქტი იდეების, ბეჭდვითი გამოცემების, ადამიანებისა და ინფორმაციათა გაცვლის დარგში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ მზად ვართ ვაწარმოოთ მოლაპარაკება ყოველ საკითხზე იმ ფარგლებში, რომლებსაც გვიკარნახებენ ჩვენი მთავრობისა და ჩვენი ხალხის ამოცანები, სამართლიანი მშვიდობის საქმე და ჩვენი ერთგულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი ძირითადი კონსეფციისადმი. ეს კონსეფცია ის არის, რომ საერთაშორისო დავა უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი საშუალებებით სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად“.

დასასრულ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა:

„საერთაშორისო ლიდერების წინაშე უმნიშვნელოვანესი არჩევანია. წარსულში კონფერენციებს ძალიან ხშირად ახასიათებდა ეჭვები, მუქარა, ჯიუტი ცრურწმენები, და შედეგები უნაყოფო და უიმედო იყო.

მაგრამ რომ შეიძლებოდეს ურთიერთნდობის და მიზნისადმი სერიოზული მისწრაფების უკეთესი ატმოსფეროს შექმნა, შესაძლებელი იქნებოდა განახლებული იმედით შევდგომოდით იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ჩვენ გვთიშავს. თუ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს აქვს კონსტრუქციული იდეები და წინადადებანი, რომლებსაც შეუძლიათ უზარუნველჰყონ საფუძველი ჩვენი გამთიშავი საკითხების შესახებ საპასუხისმგებლო მოლაპარაკებისათვის, ჩვენ მოგესალმებით ჩვენს მოკავშირეებთან ერთად მათი შესწავლის შესაძლებლობას.

მხურვალედ ვიმედოვნებ, რომ ვიზიტს მოჰყვება რაიმე რეალური პროგრესი, თუმცა ვერავინ ვერ გაბედავდა ეწინასწარმეტყველებინა ასეთი შედეგი“.

ყოველი მხრიდან

დადგება ახალი ერა

„გაცილებით სჯობს ვგზავნოთ მთელ მსოფლიოში სახელმწიფო მოღვაწეები, ვიდრე რაკეტები“.

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით ელის ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლას შეერთებულ შტატებში.

ცვლილ ომის პროპაგანდამ, რომლითაც ჯერ კიდევ სავსეა ბევრი ამერიკული გაზეთის ფურცლები, სრულიადაც ვერ დააჯერა ამერიკელ ხალხს იმედი, რომ დადგება ახალი ერა საერთაშორისო ურთიერთობაში. მიუხედავად ამ პროპაგანდისა პრესასა და რადიოში, ამერიკელი ხალხის უმრავლესობას იმედი აქვს, რომ მსოფლიოში ორი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის ვიზიტების გაცვლა ხელს შეუწყობს უკეთეს ურთიერთგაგებას და ამ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო დაძაბულობას.

შეისწავლა რა გამოკითხვის საშუალებით საზოგადოებრივი აზრი ამერიკის დიდ ქალაქებში, ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამერიკელი ხალხის დიდი უმრავლესობა მოესალმება ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტს შეერთებულ შტატებში. ინსტიტუტის ამ დასკვნას ადასტურებს ცალკეული ჟურნალისტების მიერ საკუთარი თაოსნობით მოწყობილი გამოკითხვა. გაზეთ „ტრიბიუნ საიენს მონიტორის“ კორესპონდენტმა ფრედერიკ ოლივეკამმა ამას წინათ ნიუ-იორკის ქუჩებში გამოკითხა 80 კაცს. მათგან 72 კაცმა მხურვალედ მოიწონა ვიზიტების გაცვლა ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ეიზენჰაუერს შორის. ბევრი ამასთან გამოთქვამდა გულწრფელ იმედს, რომ ეს გაცვლა ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლისადმი ყველაზე ცხოველი ინტერესი ჩანს მრავალ ასეულ წერილსა და დეპეშაში, რომლებიც მოდის თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და ვაშინგტონში სსრ კავშირის საელჩოს სახელზე. მთელი შეერთებული შტატების დიდი და პატარა ქალაქებიდან. ამ წერილებისა და დეპეშების ავტორები პატიჟებენ ნ. ს. ხრუშჩოვს ესტუმროს მათ „ამერიკელები, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელნი, — წერს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“, — დაუსრულებლად გზავნიან ვაშინგტონში წერილებს, რომლებიც შეიცავენ წინადადებებს, თუ როგორ უნდა მიიღონ ნ. ს. ხრუშჩოვი.

შეიბრძენი საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ნახვისა და მოსმენის შესაძლებლობისათვის მეტად აქტიურ ფორმებს. იღებს დიპლომატები, მეწარმეები, კორესპონდენტები და სხვები გააფთრებით იბრძვიან იმ შეხვედრებზე მიწვევისათვის, სადაც გამოვა ნ. ს. ხრუშჩოვი. პრესა იუწყება რომ ვაშინგტონელ ჟურნალისტებს დიდი დავა აქვთ იმის გამო, რომ პრესის ეროვნული კლუბი ვერ დაიტევს ყველა ჟურნალისტს, რომელსაც სურს მოისმინოს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელიც მან უნდა წარმოთქვას პრესის კლუბში 16 სექტემბერს.

ამერიკელთა უმრავლესობის დამოკიდებულება ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტისადმი, რაც პირველია ისტორიაში, თავის გამოხატულებას პოვებს იმ ჟურნალის შემდეგ განცხადებაში, რომელსაც კომპანია „ჯუტონი“ სცემს: „გაცილებით სჯობს ვგზავნოთ მთელ მსოფლიოში სახელმწიფო მოღვაწეები, ვიდრე რაკეტები“.

კონგრესის დარბაზებშიც კი, სადაც წინანდებურად გაიგონებთ მსჯელობას ცივი ომის სულისკვეთებით, გამოთქვამენ იმედს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების გაცვლას მოჰყვება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ფულბრაიტსა გამოთქვა აზრი, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლა გახდება საბაბი შეხვედრათა მთელი სერიისთვის, რომელსაც „შეიძლება მოჰყვეს მეტი ურთიერთგაგება და რომლის საშუალებით უკეთ შეიძლება მოწესრიგდეს უთანხმოებანი“. ამავე კომისიის თავლსაჩინო წევრმა სენატორმა უილიამ (რესპუბლიკელი, ვისკონსინის შტატი) განაცხადა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლა „ქმნის შესაძლებლობებს დადებითი შედეგებისათვის“. სენატორმა სპარკმენმა (დემოკრატი, ალაბამის შტატი), რომელიც 1952 წლის არჩევნებში იყო დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, სენატში განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ ვიზიტების ეს გაცვლა საუცხოო იდეაა და რომ იგი შესაძლებელია, გვიქადდეს უკეთეს დღეებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების თვალსაზრისით“.

მაგრამ არსებობენ აგრეთვე რეაქციული ორგანიზაციები და პირები, რომლებიც უაღრესად უკმაყოფილონი არიან ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტით სწორედ იმიტომ, რომ მათ სძაგთ ეს მხურვალე „იმედი საუკეთესო დღეებისა“.

მაგრამ ხალხის ენთუზ